



აპა, აღსრულდა: ხელმწიფური აწ აზრი შენი, და ვსჭამო ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი შენი!

ნიკოლოზ პარათაშვილი

ISSN 0132-6015

საქართველო

21 - 2283

საიუბილეო

თარგმანი
ბიბლიოთეკა



ჩვენი სიღვრა

ვზეიმობთ დიად რუსეთთან
დაძმობილების ორას წელს!
ამნაირ მზიურ ზეიმებს
დრო კიდევ მრავალს მოგვასწრებს!
რამ დაგვავიწყოს დღეის დღის
გამნათებელი ის წლები!
ორასი წლის წინ კი არა,
უხსოვარ დროში ვიწყებით!
ვიწყებით არა ვთავადებით,
წარსულში გვიდგას ფესვები!
მოვდივართ ძმობით, ვაგვებით,
ქვეყნად ერთობის მთესველნი!
ბევრი გვეოლია გულმტერი,
საერთოცა და პირადიც,
და ერთგულების ფიალა
გამოგვიცლია ძირამდი!
ვართ ერთმანეთით ძლიერნი,
შეკრულნი ერთი მუშტივით!
რუსეთს რუსთველი ამშვენებს
და საქართველოს – პუშკინი!
არ გაიყრება ჩვენი გზა! –
ერთსულ არჩეულს ვენდობით!
ტრფობის სიმბოლოდ დარჩება
ნინო და გრიბოედოვი!
ჩვენი სამზეოს დროშები
არვის უნახავს დახრილი! –
იმათ სიმაღლეს იფარავს
ჩვენი ფარი და მახვილი!
როცა ფაშიზმის ურჩხული
გვემუქრებოდა მოსპობით,
თბილისში მოსკოვს ვიცავდით,
თბილისის ვიცავდით მოსკოვში!
ძმობამ, ერთობამ, გმირობამ
ჩვენ ცხრა მაისი გვარგუნა
და გამარჯვების კვარცხლბეკზე
სიმართლემ დაისადგურა!
საბჭოთა ქვეყნის ჰირნახულს
ვამრავლებთ შრომით, ძიებით!
პარტიის სიბრძნე გვინათებს
და ძმობითა ვართ ძლიერნი!
მზე მოგვეანლა, აგვისდა
ნაოცნებარი, ნანატრი:
მშვიდობა დადის მამულში
გეორგიევსკის ტრაქტატით!



ვანტანგური

ევგენი მარკოვი:

ჩვენ, რუსებმა, არ უნდა დაგვიწყით თავის დღეში, რომ საქართველო ხმლით არ დაგვიპყრია, რომ ჩვენ იმათი თანასწორი ძმანი ვართ და არა მძლავრი მებატონენი. ჩვენ არ უნდა დაგვიწყით, რომ ქართველნი შემოვიდნენ ჩვენს ოჯახში მისთვის, რომ ქართველებადვე დარჩნენ, ამიტომაც ყოველსავე ქართულს, ისტორიით მოპოვებულს, ყოველ ქართველთაგანს, ყოველსავე სალოცავს ერისას და წმინდად აღიარებულს, ყოველსავე თვისებას მათსა — იმოდენად პატივი უნდა ვცეთ, იმოდენად მხარი მივცეთ და ხელი შევუწყით, რამოდენადაც ყოველისფერს ჩვენს საკუთარს. კავშირი ძმათა შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მეორეს ძმურად შეეწეოდეს, ერთი მეორეს შეემსკვალოს, და არა იმაში, რომ ერთმა მეორე ჩაყლაბოს.

„პაპასნიური ნარკვევები“, 1887 წ.



ერაკლე მეორის მიმართვა თანამეამბულავებისადმი კრწანისის ომის შემდეგ

დამიჯერეთ!—საღად ვმსჯელობ! —
ვისსნათ, სანამ დრო არის! —
არ დაერქვას საქართველოს —
ნ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ვ ა რ ი!..

მოვისპობით! — ვერ გავუძლებთ,
რასაც ადრე ვუძლებდით! —
შევეფიცოთ ზემძღავრ რუსეთს! —
გადაგვარჩენს რუსეთი!

ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მისი წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

თქვა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩინა მან თავისი ავ-კარგიანობა. არ

ილია ჭავჭავაძე:



არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზე, რომ თავისუფალი იყოს ხსენებული ლიტერატურის ზეგავლენისაგან. საკვირველიც არ

არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ.

ჩვენსა გვსურს და ძალიანაც რუსული ენის ცოდნა, განა მართო იმისათვის, რომ იგი საჭიროა, ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისათვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონებაგანსნილ კაცს სულის საზრდოება მისცეს...

თითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმიანათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია.

მას შემდეგ, რაც მარადისობის ღია კარში შეაბიჯა ქართველმა, იწყის მისი სისხლი!... ისტორიის განიერ კალაპოტში ძლივს ეტეოდა ქართველის სული, საქართველოს დედოფალი ვაჟი იყო და ღმერთიც ერთადერთი ჰყავდა ამერ-იმერს — პატროსნების შუბლი და ნათელი! ქართველი კაცი ქმნიდა დიდ კულტურას — ბალადიდან გადმომხტარი ვეფხვი ხოლმე ხალხურ პოეზიაში, წიგნს ფურცლავდა ფილოსოფოსი გელათი, რენესანსად აკამყამდა რუსთაველი და მსოფლიოს დიდ გზაზე ქართველიც იდგა!..

ჟამიდან ჟამამდე იწყებოდა „ქართლის ცხოვრების“ გმირული ორატორია და ასე მოხვედრი მესერამეტე საუკუნემდე!..

გახსოვს, საქართველოვ! — ვერავინ ამოღვარა შენი სული შენივე დაფლეთილი სხეულიდან!.. მტერი ვერ ეღიროსა შენი მზის დაქვერვებას, შენი თვალბების ჩაქრობას, შენი არყოფნის ზეიმს!..

ის მაშინ მოვიდა, როცა მუხლზე დაცემულმა ხელი დაუქნიე, როცა შენს თონეში პური აღარ იჯდა და შენი კოკა წყალს აღარ სვამდა!

ის მოვიდა, რომ შენი მტერი მშვიერი სიკვდილისათვის მიეგდო, შენი ტკივილი ტანზე შემოეხვია, შენი დაკარგული მიწა ერთი პეშვიც არ შეერჩინა სხვისთვის! მოვიდა, როგორც ძმა და სისხლის ზიარი!..

იცი, საქართველოვ! — საით ისროლა შენი მტერი რუსული ზარბაზნის ღულამ!.. როგორ წაართვა ოსმალოს შენი სამცხე, ჯავახეთი, შავშეთი და ტაშირი!..

იცი, საქართველოვ! — იქ, რუსეთში, იპოვა ილია ჭავჭავაძემ შენი მომავალი!.. საერთო ტკივილმა ერთ მუშტად შეკრა რუსი და ქართველი!..

იცი, საქართველოვ! — თუ გული გულთან ახლოს არის, მაშინ მეგობრობაც აყვავებულ მზესა ჰგავს — ისევე მტერს ეგონოს, რომ ერთმანეთის ღიმილი დაგვწვავს და ერთმანეთის თვალებში მზერა დაგვაბრძოვებს!.. ისევე მტერს ეგონოს, რომ ქართული ენა აღარ უსარდლებს ქართველი ხალხის შრომასა და ბრძოლას, რომ ერთმანეთის მხრებზე მოხვეული მკლავი დაგველლება!..

ისევე შენი ილია ამბობდა: მეგობრისა მისი გულის ძგერასავით უნდა ვესმოდეს და ის ქართველი, ვინც ტოლსტოის ენა არ იცის, ცალკერძ მუნჯია და შორსაწუსელებელი!

იცი, მამულო, შენი სახელი შენსავე თოთხმეტ ძმას სიამაყის ჟრღოლად შეუჯდება, აავსებს და ამღერებს! შენი „მრავალჟამიერი“ მათ სუფრასაც ისე შინაურულად მიუჯდება, თითქოს ძმას ძმის კარი შეელოს!

იდიდე, ძალო ჭეშმარიტი მეგობრობისა! წინ მიბიძგებ, ჩემო მამულო!.. შენი საუკეთესო შვილები წერენ შენი მომავლის მატრიანეს, და ამიტომ არავის ეპატიება დღეს საკუთარ თავში დაკარგვა! ნურც ისე წახვალ სივანეში, რომ საკუთარ სიმსუქნეს წელზე ხელი ვერ შემოხვიო! ნუ გაუდგები განზე დღევანდელ დღეს, თუ საქართველოს შვილი ხარ და სამშობლო გულში გიძევს!

იცი, საქართველოვ! — ბევრი მრუდე გასწორდა შენს მიწაზე! ზოგი რა გვიან მივახვედრეთ, რომ მამული კი არ უნდა ხარჯო, მამულმა უნდა დაგხარჯოს, შენი სიცოცხლე უკანასკნელ წლამდე პირწმინდად და უშურველად ჩააბარო!..

კახეთში ღიღინებს ვაზი!.. სიცოცხლის ელქმირით მწვანედ იღებება ჩაის ბუჩქი!..



გახსოვს, საქართველოვ!..

ოქრო ასხიათ ფორთოხლისა და მანდარინის პლანტაციებში!.. გუგუნებენ ქარხნები და პენსიონერი ზაპუსი გაოცებით შეჰყურებს სინათლის ღმერთივით წამოდგარ ენგურებს!..

გახსოვს, საქართველოვ! — სანთლითა და ღამის შუშით აშინებდი ერთ დროს ფანჯარასთან აკრულ ღამეს!.. დღეს კი მზე ანთე ამერ-იმერში!.. დაბურდა შენი ჯეჯილი, კიდევ უფრო გაივს და გაიზარდა ქუდოსანი ქართველი — მეზვრე და მჭედელი, მწერალი და მეღვინე!..

იცი, მამულო! — არ შეგვეძლო, ცივი გულით გვეცქირა ზოგი ნაკლისთვის, შენს სახელს რომ ჭამდა და შენს ღირსებას ქუდს ხდიდა, ამიტომ ავზავადით და გავილესეთ, ამიტომ დაუნთო ხალხმა ცეცხლი უსახურობას, ამიტომ მივეციტო კანონს ზოგიერთი, ვისაც შენი შვილობა ასაკიდებელი მთა კი არა, ლობიანი ჯიბე სიამდრის ბოყინი ეგონა!..

შეუცვლელია ერის განაწინი! დაე იცოდეს სირცხვილმა — წაიდა და აღარ დაბრუნდეს, საქართველოში მასპინძელს ვეღარ ნახავს, შიმშილი მოკლავს და წყურვილი დაასრობს!..

გახსოვდეს, საქართველოვ! — არასოდეს დაჭკნება შენი მზე, არასოდეს წაბარბაცდება შენი ანბანი, არასოდეს ჩინავლება შენი ენის ცეცხლი!..

დაიჯერე, საქართველოვ! — დაიჯერე, რადგან ისევ ძმითა ხარ ძლიერი, ღონიერი ძმით, ერთგული ძმით, ნაცადი ძმით! ბევრი გაქვს წინ სავალი, შორს გასახედი, შორს წასასვლელი, წაყოფიხი და საწერი!..

ორასი წელიწადია, რაც ერეკლე-ბატონმა განსაჯა და უკვდავ მომავალს ჩააბარა ბედი ქართლისა!.. შენი მთავარი ციხესიმაგრე იმის რწმენა იყო, რომ საუკუნეთა მანძილზე ნათესი „თესლი კეთილი“ აუცილებლად გაღვივდებოდა და ჩრდილოეთიდან დაძრული ქარძლიერი

გაფანტავდა შენს მიწაზე ჩამოწოლილ-ბნელსა და ყურუმს!

ეს დროც დადგა — იცოდა ერეკლე-ბატონმა, რომ ჭეშმარიტი მტერი იყო ბამბაზე ჩუმი და ცეცხლზე ძლიერი, იცოდა, რომ მეგობრობას დიდ ტრაქტატს ქართველთა დაღლილი დროშების ნათელი ეფინა და აწმყოვე კარგად მას მომავალი წაიკითხავდა!..

ეს გზა სიცოცხლის გზა იყო, ხმლით გააფლული და გაწაღდული!..

ირან-ოსმალეთს საქართველოსთან „მეგობრობა“ რუსული ხიშტის ნესტარმა და მრისხანე ზარბაზნმა აფიქრებინა, თორემ საქართველო შაჰსაც და სულთანსაც ჩალმანზე ასანთებ ბრილიანტად, საჭურისად, მოხატულ პარამხანად, იანიჩრად და მამულუქად უნდოდა!..

ეს იცოდი, ჩემო ქვეყანავ!.. ისიც იცოდი, რომ შენ ემეგობრებოდი არა ტახტის რუსეთს, არამედ ხალხს, ვისი აკვანიც ზრდიდა პუშკინსა და ლერმონტოვს, ტოლსტოისა და ჩეხოვს, რეჰინსა და შენი ძუძუთი გაზრდილ მაიაკოვსკის!..

წაიღ-წამოვიდნენ საუკუნეები და გავიდა ორასი დიდი წელი — მშვიდობისა და ბრძოლის წლები! შენი ილია, შენი აკაკი და ბევრი სხვაც, ვის სახელსაც თავდახრით იტყვის ხოლმე ქართველი, რუსეთში დაპურდა მწერლად და მოღვაწედ! ერის ეს ნათლისმცემლები საქართველოს მომავალს საცაღფეხო ბილიკად კი არა, განიერ შარად წარმოიდგენდნენ, რომელზედაც საქართველოს, დემოკრატიულ რუსეთთან ერთად, უნდა ევლო და ასე ეპოვა ქართლის დაკარგული ბედი!..


მხოლოდ მტერმა ვერ დაინახოს ამ გზის სისწორე!.. მხოლოდ ქართველი ხალხის ავისტყვა ავისმდომმა აიფაროს თვალბეზე ხელი და ვერ შეინახოს, რომ ევროპული ცივილიზაციის, მოწინავე რუსული კულტურის ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან სულიერ ნაღვანთან სინიეზმა მოგვცა დღევანდელი ქართული კულტურა!

ეს ყველაფერი გეორგიევსკის ტრაქტატის, ძმობის მადლია, რომელსაც ვერაფერი ამორწყავს!..

ისიც იცი, რას სისინებენ შენი მტრები — თითქოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ზურგზე სულ მთა გვიდია, კენესით მოღინარ და წელი ვერ გაგიმართავს! რას არ იტყვის ლაფში ამოვლებული ენა, პოლიტიკურ აუქციონზე დოლარზე გაყიდული სინდისი! — თითქოს დღევანდელ საქართველოში მზე არ მეფობდეს და ვაზი არ დედოფლობდეს! — ბულდოგით იყვებოდა „ამერიკის ხმა“, ფინიასავით წაგვწყავებს „თავისუფალი ევროპა“! თურმე ნუ იტყვი, როგორც ვერსებს, რეიგანებს, ვინც ინდიულობს სამშობლო წართმეა, სადაც უმეფერობს სამოწყვეთელ გადგამებულ ძვალს ღრღინს, მოსვენება არა აქვს შენი ბედი!.. ბარათაშვილზე კარგად, შენს საუკეთესო შვილებზე კარგად მათ სცოდნიათ, რა გინდოდა და რა გინდა, ვინა ხარ და რატომ ხარ! მაგ ხანძელი ენით საკუთარი ზურგი მოიფხანეთ, ბატონო! საქართველოს პატრონად ქართველი ხალხი ჰყავს — ჭირსა და ლხინში გამოვლილი, ნიჭიერი და ზნემაღალი! მინც როგორ გიყვარო ჭუჭყიანი წყლის საზღვრის მიღმა დაღვრა!..

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!“ — ეს ბრძნული აფორიზმი მიგიძღვის წინ, ჩემო ქვეყანავ! ამაყად თავადერილი მიჰყვები ისტორიის გზასავალს! შენი წარმატებები ახარებს შენს თოთხმეტ ძმას, შენს დროშას ამკობს დიდი ლეწინის სამი ორდენი და სახელი შენი!

იდიდოს მეგობრობის ძალამ, ძმობის ნათელამ — ჩვენმა ძალთაძალმა და იმედმა!



ღვთის ბრძანებით

ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში

ღვთის ბრძანებით მუხომედიანს, ღვთის უკვერტი მთვარესა,
მივინდევ შვილთა ვარსკვლავთა მას ჩრდილოეთის მხარესა.

მოვიდოდი და ვსტიროდი, მოვსტქვემდი ჩემსა ზიანსა,
ღვთის საბოდიშოს სიტყვებსა ვიტყვოდი თავაზიანსა;
უეცრად ალაგს მოვადექ ტურფასა, ღამაზიანსა,
მსხმოვიარესა ბაღნარსა, ატმიანს და ვაზიანსა.

აწ შეისმინა უფალმან ხმა ვედრებისა ჩემისა,
დაღონებულსა მომაგო ვამი ნუგეშის ცემისა;
ხმა სამღერალთა მასმინა, არათუ ზარით დაცემისა.
საყდარს დარეკეს, გამოსხდა ზრიალი ზართა ცემისა.

რა შემომეხმა, ზარის ხმა, გულმან დამიწყო ძვერანი,
ზეზედ წამოვდეგი, დავიწყე ბურვილით გამომწერანი;
შეგებდე, საყდრის კარზედა პირფერის დამიწყეს წერანი.
ვთქვი, თუ: უცილოდ აქ არის ჩემი ბედი და წერანი.

გარდაიხნადა უფალმან, ჩემი ემართა რაც ვალი,
მკრა სიხარული გულისა, ანაზღადა ჰკვაზედ შამცვალთ,
ასე მიამა, პირიდან გავეყარე ყურძინს მარცვალთ;
საჩქაროდ წასვლა მომიხდა, არ ვიყავ ხანის დამცვალთ.

ალარ დავდივე, წამოვსტი, წამოველ გაჩქარებული,
მუნ ახლოს კალოს ლეწვედენ, მიველ, ვით დაბარებული.

მიუცხოეს და შემოკრბენ მუნ ჩემი გამშინჯვარები,
შემომეხვივნენ გარშამო კაცთა და ქალთა ჯარები;
მარტო პერანგით მოსილთა ყელზედ კეიდათ ჯვარები;
მიველ და ჯვარსა ვემთხვივე, ვიწერე ზედ პირფერები.

ერთმან მიუთხრა მეორეს: „დაი ხლებო, ღაზარი!“
„ხლება“ რა მესმა, დამეცა მე სიხარულით თავზარი;
მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექნა ზანზარი,
ველარ დაიგნეს სვეტებმა და გარდაიქცა ტაზარი.

რუსულად „ხლება“ პურს ერქვა, უწინვე გამეგონაო,
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუსი არ მეგონაო,
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე იმან მომიფონაო;
ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით შერული კონაო.

როგორც რომ ერთმან ყაზახმან მე მაშინ მაშიარაო,
როცა რომ მყვანდა, მივლიდა მეტს მამაჩემი არაო;
შევბრალდი, გულზედ მიმიქვა, მკოცნა და ცრემლი ღვარაო,
სწრაფად მოენედ მომგვარა ფხოვლელი იანვარაო.


წყალს გამიყვანეს ნავითა, საყდარში შემიყვანესო,
დამაწერინეს პირფერი, ხატებსა მათაყვანესო.

აქაკი წართქალი:

ჩვენ დიდად ვაფასებთ ძმობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრი რწმენაა, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებთ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენა გვსურს ხელი-ხელჩაკიდებით სიარული, არა მარტო ეროვნულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა.

როცა ჩვენმა წინაპრებმა თქვეს, რუსები, მოგიპატიეთ, ჩვენ შვილებს, ანდრძად დაგვიტოვეს: გვიყვარდეს რუსები, ვიმეგობროთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ერთი გზით!

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



ალა მამაღ-ხანი: — რამხელა კომკები უმუნებიათ ამ გურჯებსა და ურუსებს?!



ნეზარ კრიან!

მოყვარის ძებნაში ჩვენს მამა-პაპათ ჩვენივე რჯულის ჩრდილოელი მეზობელი გაუცნიათ. ერთ დღეს, ასე, ორასი წლის წინათ, ჩვენებიცა და იმათებიც, სულ მჯობთა მჯობი ვაჟკაცები შემსხდარან ქურან ცხენებზე, უჭენებიათ, მერე ერთ ადგილას ჩამომხდარან, ერთმანეთი თვალით გაუზომავთ და „ზრასტი, გამარჯობა!“ — უთქვამთ.

... მერე ხან დაღამებიათ, ხან გასთენებიათ და თვალი რომ კარგად გაუხელიათ, აი, მეორე რუსეთს რომ ვეძახით, იმაზე გული მივარდნიათ. ორივე ტომის ყმაწვილკაცობა შესთვისებია ერთმანეთს. იმათ ჩვენი წარჩინებულების ფასი შეუცნიათ, ჩვენ — იმათი. რუსებს დიდებული პეტრე-მხედართმთავრის გვარი დაუქუცმაცებიათ, გვარის ძირს ჩასწვდომიან: ბოგ-რატი-ონ! ჰოო, იგი ომის ღმერთი ყოფილაო! — დაუსკვნიათ.

რომელ ერთი ვთქვათ, ვისაც საქართველო უსახელეზბია გინდა სამხედრო საქმეში, გინდა მეცნიერებაში, გინდა... გინდა ყველაფერში!

მთელი საქართველო ცათა ფრინველს მისწევნია, პუშკინს რომ ფეხი დაუდგამს მის მიწაზე. პოეზიის ფასი და ყადრი იცოდნენ, მაგრამ სიხარულს დარდიც სლებია. სიძე-ბატონისა და დიდი პოეტის გრიბოედოვის უბედურების ცეცხლი ჯერ არ განელებულიყო. დარდი გულში დაუტრიალებია საამაყო სტუმრის მასპინძელს და დიდი წვეულება გაუმართავს ორთაჭალის ბაღში, ქართული ენამახვილობაც გაუჩაღებია, „ახალ აღნაგო სულოც“ უმღერია.

გრიბოედოვის განთქმული პიესა „ვაი ჭკუისაგან“ საქართველოში დაბადებულა. ხელიდან ხელში გადასულა, მრავალთაგან მაშინვე გადაწერილა ლამაზი ხელით და დადგმულა კიდევ საოჯახო სცენაზე. „ვაი“ იმას, ვისაც „ვაი“ უჭკუობით მოსდის, თორემ გრიბოედოვის სახელი თანდათან იზრდება.

თბილისში, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე, ერთ ძველებურაივინან და ჭრელკარიან სახლში — ლიტერატურის მუზეუმში — უპოვია სასუფეველი გრიბოედოვის რვა პიესის ხელნაწერებს, რომლებიც დათარიღებულია 1825-1827 წლებით.

იქ, თეირანში მყოფ პოეტს დიდ სიხარულს ანიჭებდა თავისი „არამიწიერი“ და მოსიყვარულე მეუღლის ნინო ჭავჭავაძის წერილები, ამიტომაც გამოუგზავნია გრიბოედოვს მისთვის მინანქრიანი ბრინჯაოს საწერელი, რომლის თავსახურზე ამონათულია — „ხშირად მომწერე...“ ეს ძვირფასი ნივთი კრძალვითაა დაცული ლიტერატურის მუზეუმში.

გრიბოედოვს უმცროსი თანამედროვენი იგონებდნენ: საქართველოს ტრაგედიას წერდა, მისი „ქართული ლამე“ მისსავე პიესაზე ნაკლები არ იყო, მეტიცა. მეტი ჭირი ეცეს იმისი მკვლელის კარგად მახსენებელს და იმასაც, ვინც იმ წიგნს უგუნურებითა ფხრაწიფხრუწი აუტეხაო.

ყმაწვილი ლერმონტოვი მართალი ლექსისათვის გადმოუსახლებიათ საქართველოში. საქართველოს კი მისთვისაც დაუღვეინებია სიყვარულის წამალი. პოეტს ცხენითა თუ საფოსტო ურმით შემოუვლია საქართველოს მთა და ბარი. ძარღვიანი შოთი პურის გემოც გაუგია, კახური ღვინის ეშხიც განუცდია და თბილისური აბანოების „ჭეშმარიტი ნეტარებაც“. ჩვენი ქვეყნის ჭირი და ღზინი ხუთი თითივით შეუსწავლია და ქართული ლეგენდის ქარგაზე „მწირი“ აუგია...

საუკუნო ხსენება კონსტანტინე მამაცაშვილს, ლერმონტოვის მეგობარს, ორიოდ სტრიქონი მოგონება რომ დაგვიტოვა: იუმორი უყვარდა და თავადაც დიდი ენამახვილი იყო, „ქართული დარბაისლური მეტყველი“ ხუმრობა დიდად იზიდავდაო.

„ნეტარ არიან დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა!“ ეს სასუფეველი ახლა ხალხშია, შთამომავლობაშია!

უკიბრაშები



„ — თუმც პოეტია შესანიშნავი,
ცარიელია, ვითარცა კაცი!“
„ — შენ ხავსე რით ხარ?“
„ — მე ჩემი თავით!“
„ — ეპ, ძმაო, ნაგვით ყოფილხარ ხავსე!“

შენ ჩემი ლანძღვა აღარ მოგწყინდა? —
კარგი, მიიღე ჩემი დასტური:
მე დალხენილი ვარ და მოცილილი,
შენ საქმიანი ხარ უსაქმური!

თარგმნა ელდარ აქრეშვიძემ



ცხოვრება მუდამ უღმერთოდ სცოდავს!
— ასე იყო და იქნება მარად!
მცოდნე ბევრია, ჰკვიანი ცოტა,
ქვეყანას ვცნობ და შეგობარს არა!

შინ ბრუნდებოდნენ სალოცავიდან,
ანტიპიევნა ლანძღავდა მართას,
ხმას უმაღლებდა: „ველარ ავიტან!
შენ ვის ატყუებ მართლაც და მართლაც?!“

მე ხომ არც ისე დიდი ხანია,
რაც დაგინახე, როგორ უხეშად
ესუბრებოდი ნათლულ ვანიას!
მაცალე, შენს ქმარს სულ ჩაუყუენჭავ!“

მართამ მიუგო: „რას ბოდავ, ნეტავ,
ვანიუშა ხომ სულ მთლად ბავშვია?!
შენი მძახალი ტროფიმი შენთან,
ქვეყანამ იცის, რა ამბავშია!“

შენ ვინ გაჯობებს სიჯიუტეში,
ორივე ვცოდეთ, გაჩუმდი, ქალო!
შენ კარგად ხედავ ბეწვს სხვის თვალებში,
საკუთარში კი ვერ ამჩნევ პალოს!“

თარგმნა ჯემალ ინჯიაშვილმა

მუხრან მატაპარიანი

პუშკინი ტფილისში

პუშკინი ტფილისის ქუჩებში გაიტაცეს.
ბაღში ქეიფია.
თავადი თამაშობს.
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
— ალექსანდრე პუშკინი! იცნობდეთ,
თავადო!
...პუშკინს არ უნახავს ამდენი სიცილეები,
თუმც ბევრი უმასხრია,
ნახვავზეც უზრუნია.
უკვირს —
რაც უნდა თქვას —
ლიმილით იცილებენ,
ვერ მიხვდა:
ლიმილი — ქართველის რუსულია.

... აქ ქალი ისეთი რონინებს რამდენი,
როგორზეც მან ერთგან დასწერა:
«Я кинжалом хорошо владею,
Я близ Кавказа рождена...»

... დამდგარან ვირები ყურების დაშვებით.
კიტრებით ხავსენი ჰკილიათ გოდრები.
რუსისგან საქულას მოგება დარჩება.



ვინ იცის, გადარჩეს საქო გაკოტრებას.
...პუშკინმა დანახარჯი ღიმილით
მიუთვალა,
საქომაც გაულიმა პუშკინს, ნაცვლად
ხურდის.
— რამ გაგათასსირა, საქო ავლაბრელო!
რა ჰქონდა პუშკინს შენი გასაქურდი?!

თავადმა ცხენიდან ქალს თვალი მოლანდა.
ჩამოსტა.
ხეს მიაბა ცხენი.
მას კოცნა სწყუროდა
და მანდილოსანმაც
წყალივით მიაწოდა ხელი.

... პუშკინი ტფილისის ქუჩებში გაიტაცეს.
ბაღში ქეიფია.
თავადი თამაშობს.
მძვინვარებს ქეიფი აზიურ ყაიდაზე.
— ალექსანდრე პუშკინი! იცნობდეთ,
თავადო!



უიხვარა = სსპუღნი



ნ. ა. ზარაფიშვილისა

შინაური და გარეული მტრების ქიშობა—თარეშმა კინალამ საქართველო წელში დაგვიღწა, მეტი რა ჩარა გვექონდა, მშვიდობიანობის ჩამოდგომის სახსარს ვეძიებდით, ყველამ უწყის, რომ ადრევე ჩვენივე მეფეებს მზერა ერთმორწმუნე რუსებისაკენ მიეპყროთ!.. მაი რა იქნებოდა! აბა, იმათვინა — ურჯულოებითვინა გვეცაღნა, ყრონტს როდის ამოგვაცლიდნენ?! ჰოდა, ერთ მშვენიერ კრიალა დღესა, დამოყვრების ქალღმრთის შასადგენად რუსიანებთან წავედით... ჰოდა, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, ჩამოვხტივთ გეორგიევსკში, მენა გარსევან-ბატონის ამაღაში გახლდით, ახლა რა ბედენა ვიყავი? მე რას ვასრულებდი? მე იგეთინა ვიყავიყვე, რომ თუ თოფის ბათქა-ბუთქი და ვაზის შვილივით გაზრდა შამეძლო, იმ დამოყვრების ქა-ლღმრთე შენა ხელ ვერ მოვაწერდიყე! ჰაი, ჰაი, რომ მოვაწერდი! მაგრამ მე ვაწერდი, დამარწმუნეს, სათანადო საპოლიტიკო ქართულ-რუსული არ იციო! დამოყვრებას რა პოლიტიკა უნდა! მოყვრობა სიყვარულია და... რი პოლიტიკა, რა პოლიტიკა?! როგორც იყო, უარი მათქმევინეს ჩემ ხელი მოწერაზე და სანაცვლოდ ფრიად პასუხ-საგები საქმე მითავაზეს. მითხრესყვე: სანამა ჩვენა მოყვრობის ქა-ლღმრთე ხელ არ მოვაწერთ, ჭიშკრიდან ფეხი არ მოიცივლო, შაიძ-ლღმრთე რომელიმე ურჯულოთა ჯადო შემოგვეკერიოს და მოყვრობაში შევ კატასავით გაირბინოს!

დამოყვრების კარიბჭეს ხმალვადანაფრენილი ვიცავდი. ჩემს სა-პირისპიროდ რუსი ვოინი იდგა, ალბათ, ისიც ჩემსავით ფიქრობდა. ჩემი შვილების გაზრდა-გახარებაში, იმ რუსსა კაი ხირიმი ეპყრა ხელშია, სულმა წამძლია და იმ თოფოსანთან მივჩურჩუტდი, უნდა გენახათყვი რუსი რა სანიაღვრე ამინდივით მოიქრუმა და ჯორი ტლინკებივით დამაყარა:

— ნუ-ნუ-ნუ!..
 ნუნუა ჩემს დედაკაც ერქვაყვე, ამ ვოინმა ნეტამ საიდან იცის-მეთქი! მაგრამა ვაგონილი მქონდაყვე, მაგათა ყოველივე იციან, მომ-სმენ-გამგონი მოსიარულე ხალხიაყვე.

— ეი, რუსო! შენა ჩემ ნუნუაზე მეკითხები? იმანა ათი შვილი გამიზარდა, მამებ-დედებად რომ იქნებოდა, იმათ მშვიდობიანობა უნ-დათყვი! აბა, ლაჯადგმული იმითვინა არა ვარ აქ ჩამოსული, ხომ არა გგონია, მართლა შენი ხირიმი მომეწონაყვე და იმითომ გეპურკუ-რები?! არა!

ე ღმერთგამწყრალი რუსი ჩემს სიტყვებს ყურთანაც არ უშვებდა, თავისას გაიძახოდა:

— ნუ, ნუ-ნუ!..
 ვფიქრეყვე, ნუნუა ღვინოს დაღვავა ხომ არ უნდა-მეთქი, რუსოს ყანწი მივაწოდე, ტიკტორას პირი მოვუხსენ... აბა, ამაზე შაყარა ჯორის ტლინკები, თორემა წელა რა უჭირდა!
 — ნუ-ნუ, ნუ-ნუ! — არ ცხრებოდა რუსი.
 — რუსო! შენა ეს დაღვივი და მერე ვნახოთ, ნუნუს ნაცვლად ურა-ურას გაყვირებს თუ არა? და იმასაც ვნახავ, ი ურჯულოები კის-რიტებით რომ გაიქცვიან ჩვენი ბალ-ვენახებიდან!
 ანაზღეულად რუსმა სახე მოინათულა, გამიღიმა და მკითხა:
 — ურა ატკულა ზნაეშ?
 — რაო, რუსო?
 — სლოვო ურა ატკულა ზნაეშ?

ახლა კი, როცა რუსმა თავისებურად სიტყვები გამიმრავლა, სულ ერთიანად ფეტვი მარცვლივით დავიბენი, არ ვიცოდი, როგორ მეთქვა — ტოტლებენი ჯარიდან-მეთქი, და ისევ ჩემ სადგომთან ჩა-მოვეყუდდიყვე, არადა, ხში გამეგები მინდოდა, თორემა მუნჯი ჩავიდო-

დი ჩემ წინანდალშია.

ჩემ გამტყნარებაზე ეხლა რუსი წამოვიდა ჩემკენა, ვიცოდი, რუსი იყო, მაგრამ მეცინოვნის ამბავი ხომ ფრიად მოგესხენებთ, სიახლო-ვეს კაცი არ უნდა გააჭანოს, ჰოდა, ავტებე შასაშინებელი განგამი:

— რუსო, არ მოიცივლო ფეხი!
 — ნუ, ნუ! ია იზ პეხოტი!
 — ჰო, რუსო, ფეხოთი ნუ მოდინარ, დაიწი!
 — ა ჩტო დაც?
 — რაო, რუსო! ნუნუ, დაიწი, ფეხო! უა! ჩემ სიტყვებს იმეორებ?!
 — და, იმენო ია იზ პეხოტი!
 — დედასა, ჩემს გამოჯავრებაზე სეირსა გიჩვენებდი, რომ არ ვიყო ყარაული!
 — და, იმენო ია იზ პეხოტი, კარაულ! — რუსმა მკერდზე მუშტი მრავლად მიიბრაგუნა და კვლავად მეუბნა, — ია კარაულ!

— ყარაული? შენც ყარაული? მეც ყარაული?!
 — და, ია კარაულ!

ერთგვარი სიტყვები გვექონია! ერთი კაცი ნაშობნი ვიქნებით, მაშა, მაშა!

— რუსო, მოდი აქ, ჩამოვექ სკამზე!
 — ნა ეტოი სკამიე?

— ვაა, რუსო! მცოდნია რუსული და ევ არის, აბა, ეგრე თუა, სა-მოყვრო ქალღმრთე ხელი რატომ არ მომაწერინეს? არა უჭირს, მერ-მედ მოვაწერ!..

იმ რუსსა ივანა ერქვა, გვარად — დავილოვი, იქნება დავითაშვი-ლიც იყო, ვინ რა იცის?!
 მე და ის რუსი იმ საერთო სახელობის სკამზე ჩამოვხედით. მე მას ვასწავლიდი — წყალში ყიყინებს ბაყაყი, ის კი იმეორებდა: ცკალში კიყინებს ბაყაყი!

მენა სიცილი მახრჩობდა, იმას — ბრაზი.
 მერე ივანამ დამიწყო სწავლა: ია ვოევალ, ტი ვოევალ, ი მი ტურ-კოვ ოტკოვეალი! მე კიდენა ვიმეორებდი ია ვოევალ, ტი ვოევალ, ა ტურკი-ვაი, ვაი! — ყიყინებენ.

ივანასაც სიცილი აუტყდა...

1983 წელი, 20 ოქტომბერი. ქ. გორი.

კახელი გლუხი: ზდრასტუიტე დოროგიე რუსიე! კაკ პოჟივებე?
 რუსი მუშა: შესანიშნავად ვართ!

კახელი გლუხი: პროსტო ჩუდო, კტო ვას ნაუჩილ ტაკ ჩისტო გოვოროც პო გრუზინსკი?

რუსი მუშა: ჩემმა პაპისპაპამ მასცავალა! შენ ვილამ გასცავალა ასეთი კარგი რუსული?

კახელი გლუხი: მოი პრადედ! ონ უვას რაბოტალ კარაულომ!..
 რუსი მუშა: პაპაშენის პაპისპაპას ვიგამ ასცავალა?

კახელი გლუხი: კაკოიტო კარაულ დავიტაშვილი, ტოესც დავიდოვ!
 რუსი მუშა: ევ ხომ ჩემი წინაპარი იყო, შენაყე ბოსტოლანაშვილი ხომ არ იქნები?

კახელი: ტაკ ტოჩინო! ტი ვოევალ, ია ვოევალ, ვსე ვოევალი ი ოტ-ვოევალი დრუჟბე!..



მოთხრობა

შედეგული იქ ვაგებარა. ზამთარში ზურაბი ეწვია ფედიას ოჯახით და მთელი ერთი თვე მოსკოვში დარჩა. მეორე წელიწადს ქობულეთში დაისვენეს ერთად და ასე ამ- გვარად, ხან ოჯახებით, ხან მივილინებით, ხან უსაქმოდ და უმიზეზოდ აკითხავდნენ ერთმანეთს; ერთმანეთის ჭირს და ლხინს იზიარებდნენ და ერთ მშვენიერ დღეს ფედიამ მიიღო დეკრეტი, რომელიც ზურაბის გარდაცვალებას იუწყებოდა.

ფედიამ თავდაპირველად ვერაფრით ეს ამბავი ვერ დაიჯერა. ეგონა, რომ ეს იყო სუბრობა ან გაუგებრობა, თუმცა ფაქტი არც ერთს ჰკავდა და არც მეორეს. სხვათა შორის, დეკრეტის შედგენაში დაშვებული იყო რამდენიმე ელემენტარული შეცდომა. უნდა დაეწერათ ზურაბი მოულოდნელად გარდაიცვალა ან ტრაგიკულად დაიღუპა, თორემ როგორ შეიძლება ბოლო უმიზეზოდ გარდაცვალიყო სიცოცხლე, სიხალისე, მოძრაობა, თანაც სულ რაღაც ერთი თვის წინათ დამორღვენეს ისინი ერთმანეთს. დეკრეტი უნდა დამოწმებულიყო თურმე ნოტარიუსთან, რათა ჭირისუფალს, ამ შემთხვევაში ფედიას, არ გაჭირვებოდა აღება თვითმფრინავის ბილეთისა, რომლის შოვნა სახელდასჯელად იმ დღეებში თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. მოგესხენებათ, ზაფხულში, თანაც ავგისტროში, წინასწარი თადარიგის გარეშე სამხრეთისაკენ წამოსვლა როგორი რთულია. ყველაფერთან ერთად, დეკრეტი გაგზავნეს გვიან, თუმცა ისიც რომ მთავრეს იმ უბედურებაში, გასაკვირი იყო. თანაც, სიმართლე რომ ითქვას, არც კი ელოდნენ ფედიას, იმოდენა ქალაქიდან, სადაც ყველას თავისი ჭირი და სატყეობი აქვს, სადაც კარის მეშვეობით სიკვდილსაც კი ვერ შეიტყობენ ხოლმე, არ ჩამოსულებლობით კაცს ვერ გაამტყუნებდნენ, თუნდაც იგი ფედიასზე ახლობელი ყოფილიყო. ყველაფერს დაემატა ისიც, რომ წინაღობა ფედიას ცოლი მივილინებდა ამ გამგზავრებულიყო და შვილი, რვა წლის გოგონა ფედიას საპატრონო გამხდარიყო.

ფედიამ მთელი დღე, დაღამებამდე დადიოდა მოსკოვის აეროპორტში აღმა და დაღმა ბავშვითა და დეკრეტით. აზვინ დაიჯერა, რომ იგი მიდიოდა საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ მეგობრის დაკრძალვაზე. ელიმებოდათ თურმე, ზოგიერთები დასციროდნენ კიდევ.

ბევრს აღარ ვაგვარებულე და პირდაპირ ვიტყვი, რომ ფედიამ იშოვა ბილეთი თითქმის უიმედო სიტუაციაში. ლამე ბავშვთან ერთად აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში გაითენა და დღის თორმეტ საათზე ქუთაისში, უფრო სწორად კობრისარში, ჩამოფრინდა. ჩაჯდა ტაქსიში, სადაც უკვე მოკალათებულიყო ერთი დასიცხული მგზავრი და გულგრილად ათვალიერებდა გამშვალ-გამომვლელს.

თუ გოგონას არ ჩავაგდებდით სათვალავში, ორი თავისუფალი ადგილი რჩებოდა კიდევ, მაგრამ მძღოლმა სამი კაცი მოიპარტა. ფედიამ ტანად დიდი იყო და წინ გადმოსვა ბავშვიანად, წინ მჯდომი, პროტესტის მიუხედავად, უკან გადააბრ-

ძანა და ოთხი კაცი შეტენა ძალისძალათი, კარი ძლივს მისურა. ამ საქმეს მორჩა თუ არა, მანქანაც დაძრა. სალონში აკრილდა. მგზავრები გამოცოცხლდნენ, კი არ ალაპარაკდნენ, ახორცოდნენ. ფედიას მიხედვით, უცნაურო სიტუაციის სროლაც კი დაიწყეს წაღმა-უკულმა. ივინებოდნენ კიდევ და ბავშვსაც აღარ ერიდებოდნენ, თუმცა გოგონას არაფერი გაეგებოდა. მძღოლმაც მოსხნა გუდას, ახლა ჭორები და ანეკდოტები ამოალავა და მგზავრებიც ბევრი აცინა.

— დაღო ხარ, შალიკო, დაღო! — ეძახდა ერთი უკნიდან და ბუჭბუჭ ხელს ურტყამდა.

როდის, როდის დაილია ეს მტკრიანი შარავა და მხიარული ექსკორტი ქალაქის მისვეულ-მოსვეულ და აბურღულ ქუჩებში შეგრილდა.

ფედიამ ვერ გაიგო, რომელ რაიონში მოხვდა, მაგრამ ზოგიერთი ქუჩა ეცნაურა და გული შეეკუმშა. რაღაც ჩხვლეტა და ტკივილიც იგრძნო. ახლა გაისივრებოდა თვალნათლივ ყველაფერი, გაახსენდა ზურაბთან გატარებული მხიარული, უდარდელი დღეები, მოგონებები აუშალა და მოულოდნელად წამოიძახა:

— გაჩურჩუე მანქანა, ცუდად ვარ!

მძღოლმა სვლას შეაჩერა, ფედიას გადასხედა გაცივებული თვალებით.

— სასადილოსთან მიმიყვანე თუ შეიძლება, ას გრამ არაყს დავლევ... — უთხრა ფედიამ და ოფლი მოიწმინდა ცხვირსახოცი.

— მაგაზე გაწყინებთ!.. — გაეცინა მძღოლს. უკან მიიხედა, მგზავრებს თვალი ჩაუკრა, რაღაც ჩაილაპარაკა კიდევ და უკან თავშეუკავებელი ფრუტური და სხვიკინი ატყდა.

— დაღო ხარ, შალიკო, დაღო! — დაუძახა იმ მგზავრმა, ადრე რომ ფედიას ადგილზე იჯდა.

ამ ფულზე დახარბებული კაცისათვის, ალბათ, ყოველი წუთი ძვირფასიყო, გაიფიქრა ფედიამ და გაჩურჩუბდა ცალკე გადავიხდო, თქვა მოგვიანებით.

ფულის სხენებაზე, ფედიას დაკვირვებით, მძღოლი კიდევ უფრო გაიცოცხლდა, თუმცა სიცილი და ლაპარაკი არ შეუწყვეტია.

— ამათ მივიყვან ჯერ, თუ გაძლებ მანამდე? — იკითხა დიმილით.

— კარგი... — თქვა ფედიამ და ღრმად შეისუნთქა ცხელი ჰაერი.

— რაზე შეწუხებულხარ, ჩვენკენ რისთვის გარჯილხარ? — მოიხედა მძღოლმა.

— მეგობარი გარდამტყვალა და დასულავებაზე ჩამოვყალი. — მოკლედ უპასუხა ფედიამ.

ტაქსიში სიჩუმე დადგა. მძღოლი ახლა მართლა გამოფხვნილდა, საჭესთან გასწორდა და ყურადღებით დააკვირდა უსწორმასწორო გზას. ერთი მგზავრი ბავშვს მიეფერა, მეორემ ფედიას ჰკითხა რაღაც. ბავშვს ეგონა, მე შეკითხვებიანი და დაწვერილებით უპასუხა უცნობს. ფედიამ დუმდა და სხვასაც აღარ ამოუღია სმა.

ფედიამ კვლავ კი გაიხსენა, როდის ჩავიდა უკანასკნელი მგზავრი მანქანიდან. ტაქსი ახლა მსუბუქად მიჯაჯავებდა მო-

ნაგზარის გარდაცვალების შემდეგ იმავე ქალაქში დაიღუპა ჩემთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანი. დაიღუპა ისიც ბრმა შემთხვევის წყალობით, მუშაობის დროს, როგორც ქალბატონი ნათელა იტყვოდა, — „ბრომის ფრონტზე“. ზურაბი ერქვა, ჰყავდა ერთი მეგობარი რუსი — სახელად ფედიამ. ერთმანეთი რამდენიმე წლის წინათ გაიცნეს, ერთი შეხედვით, არცთუ ისეთ ჩვეულებრივ ვითარებაში.

ბაღში, საღამო ხანს, სკამზე მარტოდ-მარტო იჯდა მოსული ტანის ადამიანი. ჩვეულებრივი საღამო იყო. ბაღის კიდევ-ზე, სასტუმროსა და ოპერის წინ, ხალხი სეირნობდა. იქვე ახლოს, სადაც უცხო კაცი განმარტოებულიყო, ახალგაზრდები შეეგუფებულებოდნენ. იცინოდნენ, ხმაძლავა ლაპარაკობდნენ, ზომავს მებრად ხმაურობდნენ. ზოგი ფეხზე იჯდა, ზოგიერთი იხსენდნენ, თუმცა დროდადრო ინაცვლებდნენ ადგილებს ძალაუხეხებოდნენ.

ერთი სხარტი, ენერგიული ხანის ბიჭი წრეში ტრიალებდა, თითქმის ერთდროულად ედავებოდა თუ ეკამათებოდა დანარჩენებს. დრო მიდიოდა, მხიარული ლაპარაკი და სიცილი არ წყდებოდა. ქუჩა და ბაღი კი თანდათან ცარიელდებოდა.

მოულოდნელად ახალგაზრდებს ჩამოშორდა მოსუენარი ბიჭი, მიუხალღვდა უცხო კაცს და პირდაპირ ჰკითხა, რატომ ზიხარ ამდენი ხანი მარტო.

ფედიამ, — ის იყო სწორედ ფედიამ, — უნდოდა ახედა უბოდმოდ მოსულ მოქალაქეს, კარგა ხანი ისედაც რომ იპყრობ-



და მის ყურადღებას, შეყოყმინდა, მაგრამ შემდეგ გულახდილად უთხრა თავისი გაჭირვება. ბიჭი ამ დროს ილიმებოდა და ცერებზე ირწყოდა თითქოს.

ფედიამ მოსკოვიდან გამოეგზავნათ მივილინებით. გვიან ჩამოსულიყო, ქარხანაში ველარაჟინ ენახა, სასტუმროშიც ვერ ეშოვა ადგილი. საქართველოში პირველად ყოფილა და ამ ქალაქის არსებობაზე არ სცოდნია, როგორც შემდეგ გამოიჩინა.

— მე ზურაბი მქვია. აქედან შორს არ ვცხოვრობ, თუ ჩემთან წამოსვალ, როგორც შეეძლებ, ისე ვაგიმასპინძლებდი, — უთხრა ახალგაზრდამ. ფედიამ ისევ ვერ გაიგო, რატომ ილიმებოდა ეს ადამიანი, მაგრამ შემოთავაზებულ მასპინძლობაზე უარი არ უთქვამს.

იპური კაცი სტუმარს, ისიც უცხო სტუმარს, პატივისცემას რომ არ დააკლებდა, ამას რაღა ლაპარაკი უნდა. ეს კი არა, ცოტა მეტიც კი მოუვიდა, რადგან თვითონ სამსახური მიატოვა იმ დღეებში და ფედიაც დაგვიანებით დაბრუნდა უკან. ერთსაც საყვედური შესვდა, მეორესაც. იმ ზაფხულს კი, როგორც შეთანხმდნენ ფედიამ ცოლ-შვილით ესტუმრა ზურაბის ოჯახს. ქუთაისი რა დასასვენებელი ადგილიცაა, თქვენც მოგესხენებათ, მაგრამ

კირწყლულ ქუჩაზე და, ფედის ვარაუდით, იქით მიქანებოდა, საიდანაც მოვიდნენ. გოგონა, მძღოლს ჩემი თხოვნა გადავიწერა და შეხსენება დაუპირა, მაგრამ მძღოლმა უსმოდ დაუქინა თავი-ვიცი, ვიციო.

იგი ამკარად უკან ბრუნდებოდა. ფიცრულ დუქანს ან ვეზოტიკურ სასადილოს თუ ექებდა. ფედია ძილბურანში იყო თითქოს ჩაიძირული, ჩხვლეტებზე გაურა, დამშვიდა კიდევ, დალევაც აღარ უნდოდა, მაგრამ სმას არ იღებდა. რაც შთავარია, მანქანა ზურაბის სახლს ზღორდებოდა და სინამდვილესთან შეყრის უსიამო გრძობა თანდათან ნელდებოდა. როგორ, რა პირით, რა თვლით უნდა ენახა ერთადერთი შვილის დამკარავი მშობლები, ცოლი და ბავშვები. რა უნდა ეთქვა, როგორ უნდა მოქცეულიყო; თვითონ ცოცხალი იყო, ზურაბი — მკვდარი. გაეზარდებოდა კი ვინმეს მისი დანახვა! იქნებ სულაც არ უნდა ჩამოსულიყო ამ დროს, ამ სიტუაციაში, ანგარიშობდა იგი. თანაც მოდიოდა ბავშვით და ჩემოდანით, თითქოს დასასვენებლად იყო გამზადებული. ფედია ფიქრობდა, ფიქრობდა და დანაშაულს გრძობდა, რომელიც მოსკოვიდან მოყვებოდა, თანდათან უმძაფრდებოდა.

მანქანა უკაცრიელ ჩინში გაჩერებულიყო.

ისინი ეზოში შევიდნენ. მძღოლმა უთხრა: ზევით ასვალ თუ აქ დაჯდებიო, და იზახელას თალარში ქვის მაგიდა და სკამი დანახვა. ფედია უკითხვად დაჯდა თალარში. გოგონა მისივე გვერდით. მძღოლი სადღაც გაუჩინარდა. გოგონამ ტელეფონის ფერადი მავთული შეაძინა, დაიხარა, აიღო და უხეხური მარაუჭი გააკეთა. ცხელოდა. ნიაფ არ იძირდა. ვაზის მიღწობილი ფოთოლიც კი არ ირხეოდა. კატას ეძინა ღობის ჩრდილში. ფედია იქაურთა მოათვალიერა. ამ კარმიდაოს სასადილოს ვერაფერი მიუძგევან, მაგრამ ამაზე ბევრიც აღარ უფიქროს. კაცმა რომ თქვას, ამდაგვარ ადგილებშიც კი ყოფილა საჭიფო. ზურაბთან ერთად აფხაზური ფაცხაც კი ჰქონდა მონახულებული.

შალიკომ წყალი და პირსახოცი გამოიტანა, უკან წინსაფარაფარებული ქალი გამოყვა ფუსფუსით, სწრაფად გადაწმინდა ქვის მაგიდა, სოლო საუზმისა და სასმელის გამოტანა როდის მოასწრო, ხელპირის მშრალუბაში გართულმა ფედია მკერც კი დაინახა.

— ღვინოს დალევთ, თუ არაყს? — ჰკითხა მძღოლმა.

ფედია არაყი გადაკარა, ემწარა, მოეწონა. მეტი არც არაფერი დალევდა, არც არაფერი შეუჭამია, ლუქმაც კი არ ჩაყოლილა შალიკოს რჩევა-დარიგებისა და თხოვნის მიუხედავად. ბავშვი კი იცოქნებოდა უმადოდ, დალილსა და დამეცნათესა თამაში და მისი თანატოლის აღმოჩენა უნდოდა ამ უკაცრიელ ეზოში.

— ერთადერთი შვილი დღეუპიათ... — ეუბნებოდა მძღოლი ქალს.

— უი, უი... უბედური! — წუწუნებდა ქალი.

ფედია ახალა მისვდა, რომ მძღოლის ოჯახში იმყოფებოდა.

— შალიკო, არაფერს არ ჭამს ეს კაცი!

— უთხრა ცოლმა ქმარს.

— შეჭამს ნელ-ნელა, დაცადე, შენ ბავშვს მიაქციე ყურადღება!

— ჩაის რომ არ დალევს, ჰკითხე აბა!

სანამ შალიკო ამ სიტყვების გადმოთარგმნას მოასწრებდა, ფედია მქალს ახედა და უთხრა, დალევსო.

ქალი ჩაის მოსადუღებლად წავიდა.

— არ შეიძლება არ ვიცნობდე შენს მეგობარს... — უმტიყვებდა შალიკო ფედის. ამ სიტყვებს რუსულად ზუსტად ვერ ალაგებდა და გამოდიოდა: არ მაქვს უშუალოდ არ ვიცნობდეო და შეიძლება

ასე უფრო სწორიც იყო.

ქალმა ჩაი და ნამცხვარი მოიტანა.

— ბიჭო, მოვლენ სკოლიდან და ვართობენ მერე... — თქვა მან.

— ამდენ ხანსაც კი ვერ დარჩებიან, ავკიანდებთ ამათაც... — აუხსნა შალიკომ.

— იყო მერე ბაღანა აქ, რა უჭირს...

სანამ გოგონა ჩაის დალევდა, შალიკომ სამი სადღევგრძელოს თქმა მოასწრო, წესია ასეთიო, თუმცა თვითონაც ცოტა მოსკვა და არც სტუმრისათვის დაუძალეზია.

მართალია, ფედია იქაურ წეს-ჩვევებში, ასე თუ ისე, გარკვეული იყო, მაგრამ მაინც რაღაც ემლობოდა და გუნებაში ანგარიშობდა დანახვებით რა დაჯდებოდა ეს სმა-ჭამა, არაყი და ტაქსის უქმად დგომა.

გადაშუადლებული იყო, ადგილზე რომ მივიდნენ. ძლივს გაიკვლია ტაქსმა გზა ხალხით გაჭვდილ, ვიწრო ქუჩაში. ფედია მანქანიდან გადმოვიდა. ახლა უკვე ყველაფერი ნათელი და დღესათვი გასაგები იყო. უკვე ვეღარაფერს ხედავდა, ვეღარაფერს უყურებდა, შემკრთალ ბავშვსაც კი ვერ ამჩნევდა, მთელი ძალით რომ ებღუშებოდა ხელზე.

— ე, ბიჭო, ზურაბის ძმაკაცი ჩამოსულა... — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ორი ბიჭი გამოცალკევდა და განჩარებით წამოვიდა. მანქანასთან შეჩერდნენ, ფედის ამოუდგნენ აქეთ-იქიდან. ფედის კი მძღოლი გაასხენდა და ჯიბიდან ფული ამოიღო. ტაქსი კი უკუსვლით მიიკვლევდა ხალხში გზას და შემოსაბრუნებულ თუ გასაჩერებულ ადგილს ექებდა.

— თქვენგან ამ ქალაქში ფულს არ აიღებენ. — წყნარად, გარკვევით, მაგრამ მკვეთრი ქართული აქცენტით უთხრა ერთმა ბიჭმა.

ზუსტად ამანიარად ლაპარაკობდა ზურაბიც. დაბნეულმა ფედია მუჭში ჩაბღუჯული ფულები ჯიბეში ჩააბრუნა და ბიჭს მიუხედა, ეცნაო კიდევ, ბიჭს ეგონა, ბავშვს ექებოდა მეზობლებმა წაიყვანესო, დაამზვიდა. ფედის ახალა გაასხენდა, ბავშვით რომ იყო ჩამოსული ამ სიშორეზე.

იგი მიდიოდა თუ მიჰყავდათ ხელკავით, ვეღარ არკვევდა. ხალხი გზას უთმობდა. მის დანახვაზე სმამალა ტიროდნენ ზურაბის ცოლი და შვილები. ფედია გახევებული იდგა. სად უნდა წასულიყო, ვისთან უნდა მისულიყო, რა უნდა გაეკეთებინა ასეთ დროს, არ იცოდა.

უცნობ ოჯახში სამძიმარზე შემოსული ტაქსის მძღოლი ჭირისუფლებს ხელს ართმევდა და ცხვირსახოცით იმშრალებდა ცრემლებს. საოცარია, და ფედია იცნო იგი ზურგიდან. თვლით გააყოლა მულოტ თავს და დადარულ, წერილ კისრს.

ფედია რვა დღე დარჩა ქუთაისში.

მეორე დღეს საგულდაგულოდ ითვლიდა „ბრაკატი“ გამოტანილ, დასუფთავებულ, დამშრალებულ, დარეცხილ ჭიქებს, თუფუმებს და დანა-ჩანგალს. ახარისხებდა,



ილუსტრაციები ზ. შორჩინიძის

ყუთებში ალაგებდა. შინაურულად, სახელდასხლოდ გამოლო სუფრასთან უმასპინძლებოდა მეზობლებს, დამხმარე პერსონალს. წესრიგში მოყავდა გამოცილებული ბნის, აუგებებდა უბედურ მშობლებს და ამას აუთებდა საკმაოდ მოხერხებულად. მეზობლები ფედის ეკითხებოდნენ — სად წავილთ, სად დავდოთ, ვის ჩაგაბაროთ ეს ნივთი, ჭურჭული თუ გასალეული მაგიდაო. თანაც ეძინდნენ ძეძრ კი არა — ფედის, ხანაც ბატონო ფედისა. გოგონა კი მეზობლის ბავშვებთან თამაშობდა და საიდანღაც წკრიალა სიცოცხლის სმა ისმოდა.

ფედია ერთი კვირა მუშაობდა სასაფლაოზე. გააკეთა წყალსაწრეტო, ამოიღო თხრილები ბეტონის ჩასასხმელად. ბეტონიც თავადვე ჩაასხა და გადაინაწინა ლაბაზე. რკინა-ბეტონის საძირკველიც გააწყო. მექანიკოსი კაცი ექსკავატორს და საათს ერთიანად შლიდა და აწყოებდა უზარმაზარ ხელებით. საერთოდ, ყველაფერი ემარჯვებოდა, ყოველნაირი საქმე გამოუდიოდა. კალატოზს, მარმარილოთი რომ უნდა მოეპირკეთებინა იქაურთა, ყველაფერი გაუმზადა უნაკლოდ, ზუსტად ერთ კვირაში. მეცხრე დღეს კი იგი დაფიქრებული იჯდა კომიტეტის აეროპორტში. დიდ დარბაზში ცხელოდა. მგზავრები ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ. თვითმფრინავში ჩასხლდომა კი გვიანდებოდა რაღაც ტექნიკური მიზეზით და უსაქმობისაგან დაქინცულ ფედის მრთმინება დალოდა. გრძობდა, რომ სამუდამოდ ეთხოვებოდა ამ უცნაურ ქალაქს, რომელმაც ამდენი სიყვითისა და საზრუნის შემდეგ ასეთი მწუხარება არაუნა. უკვე სამსახურზე, გადადებულ თუ გადაუდებელ საქმეებზე, ოჯახზე, ბავშვებზე და ათას წამილმანზე ფიქრობდა. ამასობაში გაასხენდა, რომ დარჩა ზურაბის რადენიმე ფოტოსურათი, საგულდაგულოდ რომ შეახვია და ჰინინოს თავზე შემოდო წინადელი. ეწყინა, რატომ დამრჩაო. ცუდად ენისნა. მოეწვნა, რომ ყველაფერს აქ ტოვებდა, ყველაფერს იცილებდა და ითავისუფლებდა თავს, რათა დაეწიყებინათვის მიეცა ეს ამბავი.

უეცრად დარბაზის უზარმაზარი კარი გაიღო ანგამების ჭრალით და ჯახანით. დარბაზში ზურაბი შემოვიდა. თხელი, მოკავისფრო კოსტუმი ეცვა. წელში გამართული, მსუბუქი და მოხდენილი მოზაველებდა. ხელში კი ის ფოტოები ეჭირა, ფედია რომ დატოვა ჰინინოს თავზე. რა კაცია, როგორ ჩამოსისწრო, გაიფიქრა ფედია და წამსვე გამოიკვია. ამ მოწვევებამ შეაშინა. საკუთარი გულისცემა იგრძნო. საკმაოდ ღრმად ამოიხრება და მალულად მიიხედ-მოიხედა. ყველა თავისი საქმით იყო გართული, არავის მისთვის არ ეცალა. გოგონა კი სკამლოკინზე იჯდა გამხდარ ფეხებს აქნევდა აქეთ-იქით, თან ხაჭაპურს ჭამდა.

ყველაფერი სულიერი ხუმრობააო, ჩაილაპარაკა ფედია და წამოდგა. — სვეტა, — უთხრა ბავშვს, — აქ იყავი, ფეხი არ მოიცივლო, ამ წუთის მოვალ.

გოგონამ თავი დაუქინა, ფეხების ქნევა და ჭამა არ შეუწყვეტია.

ფედია ეზოში, კედლის ჩრდილში დალიოდა, ღრმად ისუნთქავდა მინდვრებიდან მოხაპერ, გასურებულ ჰაერს. მოშორებით დანჯღრეული ტაქსი დაინახა. ტაქსიც იცნო და მისი მძღოლიც.

შალიკოს ოთხი მგზავრი დაესვა მანქანაში და მესუთეს ტენიდა ძალისძალათ. მგზავრი უძალიანდებოდა, მაგრამ არაფერი გაუდიოდა.

— დალო სარ, შალიკო, დალო! — დაიძახა ტაქსიდან ვიღაცამ.

დასასრინოდ განწირული, დაგუდული ხმით.

ფედის გაეცინა და დარბაზში შემრუნდა.



პარტიკულარი და რუსები წარილ სხარე ირანის ზანს და რუსთაშის სულთანს გორგოვიუსი

მოსწავლი ბაკათაი

რუსი და ქართველი ხალხების ორსაუკუნოვანი მკვლევრობის აღსანიშნავ ზეიმზე ჩვენს თანამედროვეებთან ერთად გვაკვლევია ჩვენი სახელოვანი წინაპრების ზეიდი ლანდუბის ვიზე თვი ვაგირა და წყა-წყაოდ შუალი სიციხულ ბრძოლას სათავენი მამულის უკუთუხი მემშისსახვის. ჩვენთან ერთად ერთდელ კიდვე მოაზრებუნ თვალს ვგვაკე-

ბულ საქართველოს ამავდარი მეუფე დავით აღმაშენებელი პირიშუე თანპირ ვიორგი მესხე და ვიორგი ბრწყინვალე დიდი მოღრაი და პატრია ვახი, სამსი არავცელი და ცხრა მსა სეჩნეულებუ აზნაური და უაზნარი ესხელები, ძენი და ასული მარადციცხლი ივირისა. ნიანების პრესციენტრი მოწყვეის შავ ბარათებს უგზავნის საქართველოს დაუძინებულ მტერთაგან ყველაზე შავებულ ჯალათებსაც. ვესმით მთა საუკუნეთა სიღრმეებიდან, შავად გავებს მთითვის ვულკანითებისა და დაბლობების, ცილემ ტრიბუნა, რაი საზრადებუ სკანს ზეგს. უფრო მეტად შეიწინა შავი ბარათებით ზეიმუ მოსაწყვეთთა სისა და საბო-

ლოდ ნინამ მოწინების ნინად თავისი ჩანგალი რიტრი-გობით წაჭრა შექმდე კანდიდებურებს.

მოსწავლი (პარტიკულარი) ბარათი
დიდად პარტიკულარი ვარაზა ვარს ვარაზი საუკუნოვანი.

ახლა მინე გამოჩინქნე ვე მინადავრდი ურბები! ჩვენი ტრიტილი და ვაგა თუ არ ვესმითა, ახლა სიმღერა მინე მოსმინე, იმად ვეპატევით!

დიდად ვარაზი ვარაზი ვარაზი საუკუნოვანი
ბელადის ხალგი პარტიკულარი შინე (საკვლავი ვაგი-
ვლია შენე და ისიქ), ცხენი არ წამოვიდე რაქარეს!
ვაშოშვი, თუ ვეგოშვილი და თუთმეშვილი მუჯავრისა
ვერ ტბან: ცხენის მუჯავრელები წამოი, ნაწიბი გეში, წელა
ივლი და უფრო მავრე დაბოღმები ბარათი, სახეუ ქვევის
სილგი!

ჩაჩინალი ჩაჩინალი

წელა წამოი! მინოლები აღარ მოგვევენ, ისინი, ისევე
როგორც შენი სხარაზმელები, აწ წვენი მშენი არია, ჩვენი
წინააღმდეგ რომ რამე უკლი ვანიშრასო, უწინ ისინი ამოვ-
კრავენ ზიტლეს!

ვაშოს, ქართველი მეფის სახსნლის იატაკიდან წამოიარ-
თულმა საუთარმა ანარეკლმა რომ შეგამინა? სახსნლები ახ-
ლა იკითხე!... ისე რომ, ფრიხილად ივიე!

პარად არსახსნებულ თეპარულენს მეთოთხე- ბა საუკუნოვანი:

ჩვენი დიდ ქვეყანაში სამედიცინო საქმე ისე დგას, რომ
მოკლე ფეხებსაც აგრძობენში მიდი, კოპლე ფეხი დაგრძე-
ლებინად და საქართველოსკენ ისე წამოი, ოღონდ ადვილად,
ასფლიანი ვა-მარეშე ახლა ჩვენი ურთიგვი რკინის ლამ-
ქარი დღეწაობს, ვერც წმლით დაკლებენ რაშებს და ვერც ის-
რინი, თუ დიდე მთლი ურდობები თან გავედეს, მანქანებს ფეხს
ვერ აუქმებ ისე ვირჩენია შიწისქვეშა ვადახსველებში
იბროშოალი!

დიდად სისხლისხმეულ ვა-აბასს ვაჩინებდა სა- უკუნოვანი:

აუცილებლად მარტოვე ვამოიარე! ის ნიტი აღარ იძა-
ხის „არ ვითარდო“, მეგის შიშმა კარვა ხანია ვავვირია.
მოდი და ნახე შენი დასაბრძველები თვალბოლი (ქრთხელ
რომ ვროწინადამთან ვეკვ დაბობრავდი), თუ რისთვის ეწამა
ქვეყანა დელოვლი, რად ვაგირა შევიდი ვიორგი საუკუნე.
მიხედი, ვეროვლი ვანეთიარების ვაგას ვუბნობი და ვიპო-
ვეთ კიდე!

დიდად აპენინს საჭარისს ახლა მამადა-ხანს ვეთიარებდა საუკუნოვანი!

აღბოი ნაწვევზე, ვანჯის გზით წამოხვალ, სქელკვლეობა
ნი ციხეების მავრი თსლად შეშინულ ღიაივანს მალაღ სახ-
ლებს დაინახე, მოაჯირთან მომდგარი გურჯი ხაოუნები სი-
ცილის დაეკრან და უნდა ატანო!

შენ რომ ამოწვევებს უპირებუდი, საქართველო ახლა ხუთ
მილიონზე შეტია! და კიდევ მშენი ჰუგე დიდი საპოთია კვ-
შირადენ ორსახვევარ მილიონზე შეტი! გულითად რომ უნ-
დოვდი, ზუს ვუდრავინ ავივრებ!

რანი ვიყავით, ყოველ თვემანებს ცალკ-ცალკე ვუნახებოდი, ახლა რანი ვარო, აბას მოსაწვევი (პარტიკულარი) ბარათი მთი ვარ აბისინიო! შუ- ღით, ვანახით, ბასნიღით და ბასნიღით ვიყავი

პარათების შედგენა ნინას ქენმარებდა
ვლგაჯა ვერაბიშვილი

გაიაკოვსკი იბრძვის!

ვლადიკავკაზი - თბილისი

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი

როგორც კი ფეხი დავადგი კავკასს -
უმალ ვიგრძენი, რომ ვარ ქართველი.
იალბუზს, ყაზბეგს და მწვერვალს ათასს,
მინდა, გავძახო ჩემი სათქმელი.

... ვიცი, სამოთხე - მონაგონია,
და თუ უმღერდნენ მაინც დალოცვილს,
რომ ეგულისხმათ, არა მგონია,
სხვა კუთხე, გარდა საქართველოსი.

თარგმნა გინა მარგველაშვილმა

ნახ. ზ. ფორაჩიძისა



ყველაზე თანამედროვე

კომუნას ვაშენებთ,
 დღემუდამ ვზრდობთ,
 განათლა სოფელი,
 იზრდება ქალაქი,
 მაგრამ ჩვენ შორის
 ურწმუნო თომა
 დაღის
 და არ სჯერა
 არაფრის.


ფაქტის და მოვლენის
 არ უნდა გარჩევა,
 მისთვის სულ ერთია, —
 მცირეა,
 დილია,
 რაც გინდა, ანახვე,
 რაც გინდა, აჩვენე, —
 თომას ყველაფერი
 ფეხებზე ჰკილია.
 აი, ეს ქარხანა
 ახლახან ავაშენეთ,
 ფაქტია,
 რა უნდა ამ ფაქტის დანახვას?!

თომას კი
 თავისი ურწმუნობა
 არ ასვენებს:
 — რა ვუყო...
 არ მჯერა... ეშმაკმა დალახვროს!
 ანლა



ეს სახლი,
 ნაგები აგურიით, —
 აჩვენე,
 თუ გინდა, ასჯერაც,
 ის მაინც
 თვალეზს წკუთავს,
 თავისხას ახურებს:
 — რა ვიცი...
 რალაცა... არ მჯერა!
 მომისმინეთ
 თქვენ,
 ამხანაგო თომა!
 დიდი ჭკუა არაა საჭირო,
 რომ არ დაინახო
 სხვისი შრომა,
 რომ ყველაფერი გაკილო
 ქება
 ბევრს არ ნიშნავს
 თავისთავად,
 თანაც — ქება
 ურწმუნო თომასი!
 თქვენი ქების გარეშეც
 იოლად წავალთ,
 ოლონდ
 ხელს ნუ შეგვიშლით
 შრომაში!

თარგმნა ელდარ კერძევაძემ



„აპართაეაუბი“



„ამხანაგი ივანოვი“

ნახ. ა. გუროვიტს (უფრანალი „კოკოლილი“).



დროების ტყეებით,
 ხელების სუროთი
 მის ფიქრქვეშ
 მიღლავს
 ათასთა ბანაკი.
 წამოვდექ,
 მივვარდი,
 ო, როგორ მწყუროდა
 მას მივსალმებოდი
 და შეთქვა პატაკი.
 ამხანაგო ლენინ,
 არა - სამსახური:
 ეს ვითხრათ -
 მავალეს
 თვით სულისკვეთება...
 ამხანაგო ლენინ,
 ძნელი,
 არნახული
 საქმე გაკეთდება
 და კიდევ კეთდება.
 ღარიბებს მივეცი
 საცემლიც,
 სინათლაც.
 იმატა ნახშირის
 მადნის მოპოვებამ.
 ამასთან, ცხადია,
 თუ ვიტყვით სიმართლეს,
 ბევრია მიქარვა
 და საზიზღროება.
 დაგდლის, მათ ებრძოლო,
 წუთიც არ გვცალია,
 ვხედავთ,
 რომ სელიდან წასულა მრავალი.
 ასლა არამზადა
 ბევრია ძალიან
 ჩვენს ძვირფას მიწაზე
 და ირგვლივ მავალი.
 ვინ თქვას,
 ვინ არიან,
 სახელი რა ჰქვიათ,
 ერთმანეთს რომ სცვლიან
 ძველ ნახატებივით;
 ლოთი და
 სექტანტი,
 კულაკი,
 ლაქია,
 და საქმის მოჯანჯლე
 მოლაღატეები.
 მკერდგამობლენძილი
 ამაყად დადიან,
 მათ გულზე
 ნიშნებიც აურაცხელია.
 ჩვენ ვკვლას მოვგრუნთ და
 მოვთოკავთ,
 ცხადია,
 მაგრამ
 ეს მოთოკვა
 ო, რარივ ძნელია.
 ლენინ,
 სად ფაბრიკებს
 მოსავთ ვანთიადი,
 თოვლიან მთებიდან
 ნამდვიან ბარამდის,
 თქვენი სახელის და
 გულის სიდიადით
 ჩვენ ვსუნთქავთ,
 ვცოცხლობთ,
 ვიბრძობლეთ მარადის!

ვლადიმერ მაიაკოვსკი

საუბარი ამხანაგ
ლენინთან

ფუსფუსად,
 უთვალავ
 საქმედ მოვლენილი
 დღე მიდის,
 სხივები თანდათან ქრებიან.
 ოთახში ორნი ვართ
 ჩვენ -
 მე და ლენინი,
 კედლის სურათიდან
 რომ დამჩერებია.
 დაძაბვით მერყეულსა
 ღია აქვს ბაგენი,
 თან მალლა ულუაში
 აშლია ღერუბად.
 შუბლის ნაოჭებში
 ფიქრია რამდენი,
 ვეუბა შუბლშია
 გონებაც ვეუბა.

ეს მოთოკვა
 ო, რარივ ძნელია.
 ლენინ,
 სად ფაბრიკებს
 მოსავთ ვანთიადი,
 თოვლიან მთებიდან
 ნამდვიან ბარამდის,
 თქვენი სახელის და
 გულის სიდიადით
 ჩვენ ვსუნთქავთ,
 ვცოცხლობთ,
 ვიბრძობლეთ მარადის!

1929 წ.

თარგმნა ღვინო ბაჩყალიაძე



რ ო ბ ო რ ვ ა ც ი ნ ე

ზარ-ზეინით შემხვდნენ ამერიკაში. დიდი პატივი მომავეს. გულს მაინც ეჭვის ჭია მიღრღნიდა. პატივისცემა პატივისცემად, მაგრამ ვინ უწყის, ეგებ მთლად შერყეულადაც მთვლიან-მეთქი, არ მასვენებდა ფიქრი. გამოტეხილი რომ ვთქვათ, გასაკვირი აქ არაფერი იყო. წარმოიდგინეთ, აბა, რა ყოფაში ჩავარდებოდნენ ოკეანეგაღმელნი. მოიწვიეს პოეტი, გენიოსად შერაჯილი (გენიოსი ხომ ბევრად აღმატებულია სახელგანთქმულზე). გამოეცხადათ თუ არა ეს ზეჩინებული ოსტატი ლექსისა, არღანივით მოჰყვა ერთსა და იმავეს:

— გივ მი პლიზ სემ თი! (მომეცით ერთი ჭიქა ჩაი!).
მყის შემისრულეს თხოვნა.
დავცალე თუ არა და, კვლავ:
— გივ მი პლიზ სემ თი!..
ისევ ამივსეს ფინჯანი.



მე კი ამოსუნთქვას აღარ ვაცლიდი. ხან ასე ვატრიალებდი ამ წინადადებას, ხან ისე. ვაქსოვდი სხვადასხვა კილოს და ერთსა და იმავეს გავიძახოდი თუთიყუშვივით:

— გივ მი სემ თი!.. სემ თი გივ მი!..
ასე გავიდა მთელი საღამო.

თავაზიანად შემომცქეროდნენ ჰარმაგი მოხუცები. უთუოდ ფიქრობდნენ გულში: რა დიდებული ადამიანია ეს ჩვენი სტუმარი. ზედმეტ სიტყვას არ დასძრავს. ჩრდილოელია თხემით ტერფამდე. რაღა ეგ და რაღა ტოლსტოი! აი, ნამდვილი ჭკუის კოლოფი!

ამერიკელები აზროვნებენ მხოლოდ სამსახურში. 6 საათის შემდეგ ამ ქვეყნის არც ერთი მკვიდრი ფიქრით აღარ იწუხებს თავს. ამიტომაც რა იცოდნენ ამ დარბაისელმა ადამიანებმა, რომ ერთი ლიტონი ფრანზის გარდა ინჩიბინჩი არ გამეგებოდა ინგლისურისა. იხტიბარს მაინც არ ვიტყვდი. ეკვილიბრისტის ტროსტივით აშვერილ ენაზე რის ვაინაჩრობით ვკიდებდი ყოვლად უაზრო სიტყვათა აკიდოებს და ათასგვარ სისულელეს ვრომავდი.

— იეს უაით პლიზ ფაიფ დაბლ არმ სტრონგ...

აგრე მეგონა, ჩემი ჩინებული გამოთქმითა და მახვილგონიერებით მოხიბლულნი შექარავით დადებოდნენ სირაქლემის ფეხებიანი ქალიშვილები, თითს მოკაკავდნენ სამეტოქეოდ შემართული, ტელეგრაფის ბოძის სიმაღლე ვაჟკაცები, ფერ-ზორცი გაეღოდათ, ჭმუნვას და ნალველს მიეცემოდნენ. ფუჭი გამოდგა ჩემი ოცნება.

რა ჩაესმოდათ ხვევრდოვანი ბანით მეასედ თუ ვგონებ მეათასედაც წარმოთქმული თხოვნა, ჩაი დამისხით-მეთქი, უკუდგებოდა და განილტვოდა ჩემგან ყოველი ლედი თუ ყოველი ჯენტლმენი.

შევეუძახებდი მაშინ ბურლიუკს:

— შეაგონებდე, დავით, გეთაყვა, ამ მწერთა მოდგმას, რუსული რომ იცოდეთ, მაშინ გაჩვენებდით სეირს, ენის შამფურზე გატრიალებდით, საკუთარი შარვლის სამაგრებზე ვაცვამდით-თქო ჯვარს!

და ბურლიუკიც კეთილსინდისიერად თარგმნიდა ამ საუბარს: ჩემი არიფი იგავმიუწვდომელი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი კვლავ ითხოვს ერთ ფინჯან ჩაის!..

კეთილი და პატიოსანი.

შინ მოვიკლავ საუბრის ჟინს, ვიუბნებ ისე ენაწყლიანად, სიცილით ვასკდეს თვით გაუღიმარი რედაქტორი „კროკოდლისა“. ვინძლო ჩემმა ფხიანმა სიტყვამ კანონის უწყალო მსახურთაც კი მოჰგვაროს პირზე ღიმი. კაცი არ ვიყო, თუ ყოველი სისხლგამშრალი მოხელე არ ვახარხარო გულიანად.

არა უშავს რა, შინ მოვიკლავ საუბრის ჟინს.

და აი, მე უკვე გადმოველ სამშობლოს საზღვრებს. გული ვერ იტევს სათქმელს. ვიჭრები ყველგან, სადაც მეგულის საშუალება სიტყვის დაძვრისა. მესაზღვრეთა საუბარში ჩავერიე, ერთი წითელარმიელისა და მისი დედაკაცის ოჯახურ კამათშიც ჩავყავი ცხვირი, იმდენი ვქენი, კისრისტეხით გავაქციე ცოლ-ქმარი.

ვერ ვისვენებდი მატარებელშიც. ვიდექ ვაგონის დერეფნის შუაში, მჭევრმეტყველური აგზნებით მოცული. მზად ვიყავ, ყოველ შემხვდურს დავსხმოდი თავს ჩემში დაზავებული კითხვა-პასუხებით.

ჩვენებურ ორატორს, აბა, რა ხელს მისცემს საზღვარგარეთიდან მომავალი მატარებელი. თავად განსაჯეთ, ერთ კუბეში მხოლოდ იაპონურად მოსაუბრე იაპონელები მგზავრობენ, მორეში — ფრანგები, რომლებიც, რუსულს ვინდა ჩივის, ფრანგულადაც აღარ იღებენ ხმას. ენა თუ ჩაუფარდათ, თოვლით გადათეთრებული სტეპების მხილველთ.

ერთ კუბეზე შევიტანე ექვი. გუმანით ვგრძნობდი, ჩემი თანამემამულე უნდა ყოფილიყო მისი ბინადარი. დავუდარაჯე. მალე მოქანდა კისერზე კაშნემოგდებული მამაკაცი. ზედაც არ შემომხედა. უმისამართოდ ამოიხავლა:

— ეგენი ამბობენ, 15 გრადუსი ყინვააო, სინამდვილეში კი ათზე მეტი არ უნდა იყოს, ოპო-პო! ოპო-პო!

ე რ თ ი ქ ე ლ ბ ე ბ რ ნ ი



ამ შეძახლით შევარდა თავის სამყოფელში, კარი მოარახუნა და მალე მისი ხერინვა შემომესმა. რაღა ჩარა მქონდა! ალყა მოვსენი და მეც წამოვწევი ჩემს თაროზე. დილაუთენია კი ისევ დერეფანში ვიდექ საგუშაგოზე.

11 საათზე გაიღო ერთი კუბეს კარი და გამობრძანდა სამწყვილ უცხოურ ტანსაცმელში შეფუთნილი ოქროსკბილებიანი ქალი. ხელში უზარმაზარი კბილის ჯაგრისი ეკავა. სჯობდა კი ნატი მოემარჯვებინა. ოქრო ხომ ასე უკეთ იწმინდება. საქმიანად მომმართა, ვინ არისო ტუალეტში.

ბასუხი ველარ მოვახერხე და დაბნეულმა მხრებილა ავიჩეჩე.

— რაო, არ შეგიმჩნევიათ?! თვალები სადა გქონდათ?! — ისე ენაშწარედ გამჭირდა, რომ კრასნოდარამდე სიტყვა ველარ დავძარი.

იქ კვლავ მომეძალა ორატორობის ყინი. ფარ-ხმალს არ ვყრიდი. სად კრასნოდარი და სად უცხო ტომის ხალხითა და ზოგი გადაჯიშებული ჩვენინით გავსებული საზღვარგარეთიდან მომავალი მატარებელი. აქ მაინც ვიპოვი გასაქანს. კაზაკებს შევეხმიანები და კაზაკ ქალებს-მეთქი, ვსჯიდი და ვბჭობდი გუნებაში.

მთელი დღით დამუნჯებულს დამიხვავდა სიტყვები, ათასგვარი საოხუნჯო ფრაზები მიტრიალებდა თავში. ასე მეგონა, პირველი შემხედურთან მოყოლებული ყველასა და ყოველზე გასჭრიდა გრძნეულება ჩემი სიტყვისა.

ამ ფიქრით შეპყრობილი მხნედ ვეზიდებოდი ჩემოდანს კრასნოდარის სასტუმროს მეორე სართულზე.

დილაადრიანი იყო და კაციშვილი არ ჰკატანებდა. მაშინ კედელზე გაკრულ ბინადართა ტელეფონის ნომრების სიას დავადგი თვალი. ვრეკე და ვრეკე. ამაოდ დავშვრი.

უეცრივ გამომეცხადა სასტუმროს თანამშრომელი. ლამაზი, ზორბა ტანის ახალგაზრდა ქალი. რა გნებაეთო, მომმართა.

— თუ შეიძლება, ჩაი დამალევენეთ-მეთქი! — გავიხსენე ძველი ჩვეულება. ვცდილობდი, რაღაც უნდა დამელომოდა, მომეგო მისი გული და საუბარში ჩამეთრია. სამოვრის აწევაში შევეშველე, მერე კი მხიარულად გადავულაპარაკე:

— თქვენ რუსულად ლაპარაკობთ თუ ადიღეურად?

— რაო? — მკითხა მან.

— მე ახლა უკრაინიდან მოვდივარ იქ, გზისგასაყარზე, ბოძი დგას, ორი ფირნიშით. ერთი და იმავე სოფლის სახელი ერთი და იმავე ასოებით აწერია ორივე ფირნიშს. ერთი რუსთათვის არის განკუთვნილი, მეორე — უკრაინელთათვის. გასაკვირი საქმეა, ღმერთმანი!

— ეს იმიტომ, რომ ხალხს არ აეროს, — განმიმარტა მან.

— თქვენს ქალაქში თუ არის დარვინის ქუჩა და პასტერის შესახვევი? — არ ვიშლიდი ჩემსას.

— ეგენი ვინდა არიან? — შემიკითხა და ჭურჭლის რეცხვას მიპყო ხელი.



რა დავინახე, მიზანს ვერ ვაღწევდი, გადავედი ყოფით თემებზე.

— გუშინ დუქანში მწვადი ვითხოვე, უარი მტკიცეს. ასე მითხრეს, წელს ბატკნების მოსავალი არ მოგვივიდაო.

— ჰო, ცული დოლი იყო! — დასტურყო მან. მერე კი დაკვირვებით შემომხედა, სურდა ჩასწვდომოდა ჩემს ზრახვას.

— ვაგონში, — კვლავ წამოვიწყე მე და მეტი შთამბეჭდაობისათვის ხმას ავუმაღლე, — კაცი შემომისახლეს, ერთი ბეწვა, მაგრამ ისეთი ზოზინა, დილით მთელ საათს უნდებოდა ჩაცმას. ვუყურე, ვუყურე და ველარ მოვითმინე. ეს მე უნდა მიჭირდეს, ამხელა კაცს, ჩაცმა და გახდა, თქვენი შარვალი კი პატარა ბავშვსაც მოერგება და რა დაგემართათ-მეთქი, შევრისხე.

ქალი აიღეწა, წარბები მოღუშა და უხეშად გამაწყვეტინა: — შეწყვიტეთ შარვლის ჩაცმა-გახდაზე საუბარი! ნუ გავიწყდებათ, რომ მე პროფკავშირის წევრი ვარ!

ოთახიდან გავიდა და გაბრაზებულმა კარი გაიჯახუნა.

გულზე შემოყრილმა, სასოწარკვეთილმა გავაწყვე ჩემი კაუჩუკის ტაშტ-აბაზანა. მძიმე ნაბიჯებით გავედი დერეფანში და მომსახურე პერსონალის ოთახს გავძახე:

— ერთი სათლი წყალი მომაწოდეთ მეთექვსმეტე ნომერში!

მცირე ხანს ბოლოს ვცემდი. უკან მოვბრუნდი და ის იყო კუბეში უნდა შევსულიყავი, ქალის სიცილი მომესმა იქიდან. მთვარეულივით მივეპარე კარს. ჭუჭრუტანაში შევიხედე. მსურდა, მადლობა მეთქვა მისთვის, ვინც შეძლო ამ ძეგლივით მტკიცე ქალბატონის გაცინება. შურით აღვსილი თვალს არ ვაცილებდი ჭუჭრუტანას და რა ვიხილე: ქალი დასდგომოდა თავზე ჩემს კაუჩუკის ტაშტ-აბაზანას და ისე ხარხარებდა, ცრემლი სდიოდა თვალთაგან. მისი თქარათქურისაგან ტალღებად მიმოდიოდა წყალი და მღელვარე ზღვას ამსგავსებდა კაუჩუკის ტაშტს.

იმ დღეს მე ვიგრძენი ბევრი რამ: უსაშველო სირთულე კალმოსნის ხელობისა და იუმორის ფარდობითობა.

თარგმნა ელიზბერ გიორგაძემ



ეს კაცი ჩემთვის მკედარია უკვე,
 მაგრამ მე ამას არავის ვუმხელ.
 სხვებისთვის იგი კვლავ ცოცხალია.
 ოჯახშიც ყველა კარგად არიან.
 სხვებს კი ჰგონიათ, ისე, ვით წინათ,
 ვმეგობრობთ, რადგან ერთად ვსვამთ ხშირად.
 არავის, საკუთარ თავის გარდა,
 არ ვუმხელ, როგორ ვმეგობრობ მკედართან.
 საუბრობს იგი ყალბი იერით,
 არაფრისმთქმელი სიცარიელით,
 არც სისადავე; არც ძმობის ეშნი:
 სულით მჭლეს სავსე ჭიქა აქვს ხელში.
 შენ მაპატიე,
 თუკი მე ახლა
 არ გლანძღავ, არა,
 და ჩუმად გმარნავ!
 ვერ გამიგია,
 მაინც რა არი? —
 თითქოს არავინ არა მყავს მკედარი,
 თითქოს ამქვეყნად ახლანაჲნ გაუჩნდი
 და უკვე არ მყავს ბევრი ძმაკაცი!..

თარგმნა ელდარ კერძევაძე

ერთი

მეგობრის

შესახებ

ჭირში იცნობა მეგობრები და ძმაკაცები!
 გაჭირვებაში
 გამოიყვანს,
 დიან, ამხანაგს:
 რამდენსაც გინდა, ფულს გასესხებს და თუ ჩაწვები,
 ღამეს გაგიტოვებს, თვალსაც არ დაახამხამებს,
 თუ კრიტიკოსმა დაგიწუნა ლექსი, გიძაგა,
 სულით და გულით თანაგვიგობრობს
 და გეტყვის თვითონ,
 რომ სხვათა შორის ისიც რითმებს კარგად კინძავდა,
 არ გაუმართლდა და მგოსნობას დასცილდა შიტომ.
 თუ ფათურაჲი გადაგაწყდა,
 ანდა გზას ასცდი,
 თვით ძმად იწამებ, მოგუმხრობა მაშინ იმდენად.
 მაგრამ გაბედე —
 მოეჩვენე:
 მხნე და ვაჟაკი,
 გაღიმებული,
 ნახე, როგორ შეეშინდება!
 თითქოს შესცოდე, რომ ასერიგ ბედნიერი ხარ,
 თითქოს ვისიმე შიითვისე ნიანგის პირით,
 თითქოს მას ცოლი მოსტაცე და მაინც ვერ იქნა,
 ვერ დაიბრუნა, ვერ წაგართვა, და იმას ტირის.
 გიშველის იგი,
 თუ დიდ გზაზე წაბარბაცდები,
 ღამეს გაგიტოვებს,
 თუ ავად ხარ და ვძალავს შიში!..
 ჭირში იცნობა მეგობრები და ძმაკაცები,
 მაგრამ ხანდახან მეგობარი იცნობა ღზინში!

თარგმნა ჯემალ ინჯია

სარგანი ბარუზდინი

ლაპარაკობდნენ



ლაპარაკობდნენ,
 ლაპარაკობდნენ,
 ლაპარაკობდნენ,
 ლაპარაკობდნენ,

ზოგს ლანძღავდნენ და
 ზოგსაც ამკობდნენ, —
 დაუსრულებლად

ლაპარაკობდნენ!..
 ლაპარაკობდნენ შესახებ წვიმის,
 ლაპარაკობდნენ შესახებ იმის,
 ვინ რამდენს დაღვეს,
 ვინ რამდენს შეჭამს,
 ვინ ცხოვრობს ცუდად,
 ვინ რამდენს სვეჭს და...
 ლაპარაკობდნენ შესახებ ჭინჭრის,
 ლაპარაკობდნენ შესახებ ჭინჭის,
 რომელი ქალი ფრჩხილს როგორ
 იქნის,

რომელი სჯობსო:
 ჭკუა თუ ნიჭი!

სატავდნენ ასჯერ დახატულ
 სურათს,
 ლაპარაკობდნენ „დინჯად“ და
 „ბრძნულად“.
 ოქროდ ჩათვალეს ჩალა და ჩირი,
 გადააბრუნეს ათასჯერ ჩხირი,
 ჯერ კიდევ ცოცხალს უხდიდნენ
 ალაპს,

და, ბოლოს, როცა ეწვიათ ძილი,
 მაშინლა მორჩნენ ქაქანს და
 ლაყაფს.

შევიკრიბოთო, —
 თქვეს, — სვალე, დილით!
 კიდევ კარგი: რომ,
 კიდევ კარგი, რომ,
 კიდევ კარგი, რომ
 არსებობს ძილი!

თარგმნა ელდარ კერძევაძე

ამბს წინათ ჩვენს ქალაქში „დახურული ტიპის“ აბანო გახსნეს. „საუნა“ ჰქვია. სახელწოდება ფინურია და „ფინურ აბანოს“ ნიშნავს.

ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ერთი ჩემი ნაცნობი, ეგოროვი, მირეკავს, და მეუბნება:

— ნიკოლოზ ბატონო, შაბათს ფინურ აბანოში გეპატიჟებით!

მეც ვეუბნები:

— დიდი მადლობა, მაგრამ, ჯერ ერთი, მაქვს აბაზანა და, მეორეც, აგერ ახლა, ოთხშაბათს, ვიბანავ-მეთქი!

მეუბნება:

— როგორ გეკადრებათ! დასაბანად კი არ გეპატიჟებით, დროს გავატარებთ კულტურულად — მწვადებს მივირთმევთ, საჭირო ხალხთან გავისაუბრებთ. ისეთი სოლიდური კონტინგენტი იყრის თავს, ვერც კი წარმოიდგენთ! ძლივს ვიშოვე საშვილ..

— თუ ეგერა, — ვეუბნები, — თუ ღონისძიებასავით ატარებ, მაშინ, უდიდესი სიამოვნებით-მეთქი!

შაბათიც დადგა. „საუნასთან“ დაკავშირებით ჩემ წინაშე პირველი სიძნელე წამოიჭრა: ვერაფრით მოვიფიქრე, რა ჩამეცვა აბანოში წასასვლელად. ერთი ეს იყო, რომ იმ ინტელიგენტურ საზოგადოებას ზაიზარად ჩაცმული ვერ წარვუდგებოდი, თან იმასაც ვფიქრობდი, რა აზრი აქვს გამოწყობას, მაინც ხომ უნდა გავიხადო-მეთქი?!

ვიფიქრეთ მე და ჩემმა ცოლმა, ვიფიქრეთ და ბოლოს მეუღლემ მიჩნია:

— თუ იქ რჩეული საზოგადოება იყრის თავს, მაშინ უსათუოდ ჯინსი უნდა ჩაიცვა!

ჯინსი მან მიყიდა სპეკულანტი-საგან. რაღა დაგიმალოთ და, შარვალი კი არა, სასწაულია: წელიწადია მაქვს და ჯერ ფეხიც არ გამოიყრია, სასოებით ვინახავ განსაკუთრებული შემთხვევისათვის.

ერთი სიტყვით, ჩავეტენე ჯინსში, გადავიცვი „ბატენის“ ტიპის პერაგო და გავწიე..

უნდა გამოგიტყდეთ, რომ გარედან აბანო დიდი არაფერი შვილია. სამაგიეროდ შიგნით პირდაპირ არქიტექტურული საოცრებაა: ძველებურს მიმსგავსებული, მოდერნის ყაიღისაა, ირგვლივ ხით მოპირკეთებული; აქეთ — ბუხარი, იქით — მუქი სანათურები. აგერ ორგანი უკრავს, მაგნიტოფონით; საზოგადოებაც, რასაკვირველია, შესაფერისია: წრუპავენ კონიკს და რაღაც საზღვარგარეთულს აბოლებენ..

ბრიგოლ გორინი

ს ა უ ნ ა



კეთილი. ვისხედით, ვაბოლეთ, მერე ყველა ორთქლისაქენ გავემართეთ. აი, აქ კი საშინელება დამემართა: „ელვის“ საკეტი გაიჭიდა. ვერ დავძარი ვერც იქით და ვერც აქეთ, ხან ზემოთ ავქაჩე, ხან ქვემოთ დავქაჩე. სიმწრის ოფლში გავიწურე! მეტისმეტად სულელურ მდგომარეობაში ჩავვარდი: ყველამ გაიხადა, მე რეგენივით ისევ ჩაცმული ვიდექი. დავიწვი სირცხვილით. ვერაფერი მოვიფიქრე!..

ეგოროვმა მიჩნია, შარვლიანად შემოდი, სიცხისაგან შესაკრავი გაფართოვდება და იქვე გაიხდიო. უარი ვუთხარი, გინდა მასხარად ამიგდონ-მეთქი?!

— დიდი ამბავი, შენც ყურადღებას ნუ მიაქცევ! იქნებ შენ ასეთი ორიგინალური ხარ, იქნებ სწორედ შარვალჩაცმულს გიყვარს ორთქლში ჯდომა?

დავეთანხმე, შარვლიანად შევედი ორთქლში და ჩამოვჯექი. არ ვიმჩნევ უხერხულობას. ირგვლივ მართლაც კულტურული ხალხია, ყურადღებას არავინ მაქცევს. უცებ ოფლმა ერთბაშად დამასხა..

ისხდნენ, ისხდნენ და მერე ყველა აუზში ჩაწვა. მე ისევ ვზივარ და უშედეგოდ ვიფუფქები. შარვლის შესაკრავი კი გახურდა, მაგრამ იოტის ოდენადაც არ გაფართოვდა! მაგარია, ამართლებს თავის ფასს; 200 მანეთია შიგ მიცემული! თანდათან ვგრძნობ, როგორ მეცლდება ღონე და ვლხვები..

ველარ მოვითმინე, წამოვხტი თაროდან და კარებისკენ გავქანდი. მაგრამ მექისე მეცა და დამიჭირა.

— მაპატიეთ, — მეუბნება, — შარვლით ბანაობა აკრძალულია, პლაჟზე კი არა ხართ!

შევბღავლე:

— მხოლოდ ერთი წუთით, გავგრილდები!

მიბასუნა:

— ქუჩაში მიბრძანდით! დასაჯა! გაგრილდით! ტანსაცმელით ნუ შეშინებთ! ვერ ჩაგიშვებთ!

— ეგოროვ! — დავიყვირე, — მიშველეთ, გამხადეთ, თორემ ვკვდები!

ეგოროვმა იაზრა სიტუაციის სირთულე, მაკრატელს დასტაცა ხელი და ტრუსებთან ერთად შემაჭრა ტანზე ჯინსი. ამოვხტი თუ არა შარვლიდან, წყალში მოვადინე ზღართანი, ნახევარ საათს ვგრილდებოდი.

შემდეგ ყველამ ბუხრის წინ დადგმულ მაგიდასთან მოიყარა თავი, მწვადებს შეექცენენ. მივედი მეც, მაგრამ რა გამოვიდა? — ისევ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი: ყველა ჩაცმულია, მე დელიზობილია ვდგავარ. აქ უკვე საზოგადოებამ, ინტელიგენტურობის მიუხედავად, საყვედურისგან თავი ველარ შეიკავა.

— რას ჰგავს ეს?! ვინ არის ეს უცნაური სუბიექტი?! ორთქლში შარვალჩაცმული იქდა, მაგიდას კი შიშველი უზის. საიდან მოიყვანე ეს ტიპი, ეგოროვ? —

ეგოროვი უხსნის:

— მაპატიეთ, ეგ ტიპი კი არა, ბატონი ნიკოლოზი, ავტომალაზიაში მუშაობს, თვის ბოლოს დეფიციტური მინები აქვს ხოლმე!

ამის გაგონებაზე, რა თქმა უნდა, ერთბაშად შეტრიალდა დამოკიდებულემა. ვინც საყვედურს ამბობდა, მომიბრუნდა:

— ოჰ, გვაპატიეთ, არ ვიცოდით! ეგ სხვა ამბავია.. იჩქეით, ძვირფასო, იჩქეით! არ მოგერიდოთ, პირიქით, სასიამოვნოც არის ნატურის ცქერა..

ვჭამეთ, ვსვით, ვისაუბრეთ. ბოლოს სახლებში წასასვლელად მოვემზადეთ. მექისე მოვიდა ჩემთან და მომიბოდიშა:

— მაპატიეთ, ნიკა ბატონო, უხეშობა! თუ კვლავ ინებებთ, ჩაცმულმა იბანავთ ხოლმე!

— რას ბრძანებთ-მეთქი, — ვეუბნები, — ნუღარ გაიხსენებთ ამ ინციდენტს! მე საბანაოდ კი არ მოვსულვარ, კულტურული დასვენება მინდოდა მხოლოდ!

განაგრძობს:

— ჰოდა, კიდევ მობრძანდით, ერთობ გაგვანარებთ!

ერთი სიტყვით, მართალი გითხრათ, „საუნა“ მომეწონა. ოღონდ იმ წყულ ჯინსს აღარ გავკარებოვარ: კუთხეში დავდგი!.. იდგეს და იყოს!..

თარგმნა ლია ლლონტაძე ნ. ჯ. ლოლუასი



„ჯვაროსნობანას“ თამაში.

გონს მოდიო! დროზე შეჩერდიო!

დღეს, როცა ასე აშკარად
გვემუქრებიან მოსპობით,
და უნდათ, ბირთვულ პლანდარმად
გადააქციონ კოსმოსიც. —
დღეს, ვაშინგტონი როდესაც
საომარ ზარებს არისხებს, —
დე, გაფრთხილებად მოგესმათ
ნატოელ მილიტარისტებს:
გონს მოდიო! დროზე შეჩერდიო,
სანამ ვვიანი არ არის! —
გვაქვს ძალა ყოვლისშემძლები
და ნერვებიც გვაქვს მაგარი!
ზღვარს თუ გადახვალთ მცირედაც,
ჩვენ გავცემთ პასუხს საკადრისს! —
მკვდარსაც კი გუეცინება,
მართლა ისეთ დღეს დაგაყრით!
ჩვენ რაკეტები არ გვინდა,
ქვეყნად სიცოცხლის ამკლები!
გვსურს, რაკეტების მაგივრად,
ყველგან განლაგდეს აკვნები!





1886 წელი: საჩუქრად ამერიკის შეერთებულ შტატებს საფრანგეთისაგან.



1983 წელი: საჩუქრად დასავლეთ ევროპას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

ამერიკული დიალოგები

- ჰელოუ, ჯეკ!
- ჰელოუ, ჯიმ! საით გაგიწევია?
- შრომის ბირჟაზე, იქნებ დღეს მაინც გამიღიბოს ბუდმა!
- ჯენი და ბავშვები სად არიან, ჯიმ?
- საქველმოქმედო საუზმის რიგში, ჯეკ, შენ რასა იქმ?
- ვმუშაობ, როგორც იქნა, ვმუშაობ!
- გილოცავ! რას აკეთებ?
- ძაღლებს ოყნას ვუკეთებ ვეტერინარულ პუნქტში.
- კი მაგრამ, შენ ხომ ასტრონომი ხარ, ჯეკ?
- ისევე, როგორც შენ სოციოლოგი, ჯიმ!
- სრული ჭეშმარიტებაა, ჩემო

- მეგობარო!..
- მომისმინე, ჯიმ!
- გისმენ, ჯეკ!
- ერთ მდიდარ ქალბატონს სენბერნარის მომვლელი სჭირდება, კარგ კოლეჯში აღზრდილი, კარგი მანერებისა და თანაც გარეგნულად უფექტური პიროვნება. ვფიქრობ, ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებ. ანაზღაურება ნორმალურია. კვებაში ფული არ დაგეხარჯება. ძაღლს მზარეული ემსახურება.
- ეკ, ვინ გაუშვებდა ამ ადგილს, ჯეკ!
- ახლავე წადი, აი მისამართი!
- გმადლობ, ჯეკ, ჩემი ბუდი უკვე იცინის. ჯეკ, გმადლობ, მეგობარო!

- თქვენი სახელი, სერ?
- ჰერალდი, ჰერალდ სნოუ.
- წლოვანება?
- ოცდაორი.
- პროფესია?
- უმუშევრობა, სერ!
- თქვენი პობი?
- საშუაოზე ოცნება, სერ!
- თქვენი სამომავლო გეგმები?
- სუბრობთ, სერ?
- სრულიადაც არა!
- ზამთრისათვის თადარიგის დაჭერა!
- რას გულისხმობთ?
- თბილ თავშესაფარში მყუდრო კუთხის დაჭერას!
- თქვენი პოლიტიკური იდეალი?
- ამერიკა უბრალო ამერიკელებისთვის, სერ!

- მერი, ჩართეთ ტელევიზორი, დღეს პრეზიდენტი ხალხს მიმართავს!
- მისტერ რეიგანი?
- მისტერ რეიგანს უყვარს საჯარო გამოსვლები, პრობლემათა დასახვა და მათი ოპტიმალური გადაჭრა.
- დიას, ქალბატონო, უყვარს.
- მისი ყოველი სიტყვა ნოყიერ თესლს ჰგავს, ძირს ეცემა და თავთავივით ამოდის.
- დიას, ქალბატონო!
- მერი, ალბათ, ჯების წამალი უკვე დააღვეინეთ!
- დიას, ქალბატონო, დავვარცხნე კიდევ, კულზე ბაფთაც გავუკეთე!
- მიაგორე ჩემი სავარძელი ტელევიზორთან, მერი!
- მესმის, ქალბატონო!
- თქვენ დიდ ინტერესს არ იჩენთ პრეზიდენტის გამოსვლისადმი, მერი, სახეზე საშინელი გულგრილობა განახტით!
- წუხელ არ მეძინა, მისის.
- რატომ, მერი?
- ბავშვი კოლეჯიდან დაითხოვეს. სწავლის ფულს თავი ვერ მოუყვარე.
- ამიერიდან თვეში ხუთ დოლარს მოგიმატებ, მერი. აი, სადამდე მიყვავართ საბჭოთა მუქარას! მისტერ რეიგანი, კონგრესი იძულებული არიან სამხედრო ხარჯები გაზარდონ, რათა მსოფლიო მშვიდობა დაიცვან. ხომ გესმის ჩემი, მერი?
- დიას, ქალბატონო!

ჯეგალ აფციაური

7-83

წარიღებულ
ლაპარაკთა
საგვით
საპუიროს
წინააღმდეგ!

ქხალი
საჭოთა
საფრთხა

ახლა იქამდე მივიდნენ, რომ გამოაცხადეს „ჭვაროსნული ლაშქრობა“ სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგ.
გაზეთთაიდან

აუზ-ის აგრესიული ზრახვების „დაეაღვა“ მოგონილი „საჭოთა საფრთხით“.



ნიანგი

სატრისა და იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“ № 21-22 (1656), ნოემბერი, გამოდის 1923 წ. იენისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადვიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართია, ბორის ვურგული,
ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა,
ნოდარ მაღაწონია (მხატვარ - რედაქტორი),
ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფიფაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაეცა ასაწვობად 14.10. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.11. 83 წ. ქალაქის ზომა 60X90¹/₂, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-სავაგომომცემლო თაბახი 1,7, საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14. შეკვეთა № 2412 უფ 12762 ტირაჟი 138.300. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.
ბელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 40 კაპიკი
05ნაძსი 76137